პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 277 (20018) ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ. დღეს. ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უფრო ფართოდ ინერგება სამეურნეო ანგარიში.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე

წლის დამდეგიდან, მაგალითად, მემინდვრეობის ბრიგადების 60 და მეცხოველეობის ფერმების 43 პროცენტი სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. მომავალი 1988 წლიდან კი რაიონის 48 საზოგადოებრივი მეურნეობიდან 17 საზოგადოებრივი მეურნეობა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავა.

ამ საქმის ინიციატორები გახდებიან ხანდოს, ბურნაშეთის, ბარალეთის, არაკვის, დილისკის, ორჯის, ჩუნჩხის, ღადოლარის კოლმეურნეობები, ალასტნის, დადეშის, კოჩიის, ზაკვის, კარტიკამის, იხტილის, ვაჩიანის, ჩამდურისა და კუმურდოს საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მიმდინარე სამეურნეო წელიწადს საკმაოდ დიდი მოგებით ამთავრებენ.

ერთი თვეც, და ახალი წელი შემობრძანდება. ოსტაბლარის მშრომელები, ცხადია, ალბონეს არ იშურებენ, რათა ღირსეულად დამშვებულნი შეხვდნენ ახალ წელს. მაგალითად, ჭიათურის მაღაროთსამმართველოების უბნებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს №7 საწარმოო უბანი. მან გუშინ პირველმა შეასრულა მაღალხარისხოვანი მანგანუმის მოპოვების 11 თვის გეგმა.

უბანმა მოანგარია და საწარმოო გაერთიანების მამდიდრებელ ფაბრიკას მიაწოდა 170 ტონა ზეგეგმითი მადანი. გვირაბგამყვანები ნ. გაფრინდაშვილი, ვ. კაპანაძე, ე. ტალახაძე, ნ. ჩიხლაძე და სხვები ათი ნოემბრიდან ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში შრომობენ.

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ

ამერიკის ენ-ბი-სის ეროვნულ ტელეკომპანიას

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვი უპასუხებს ამერიკის ეროვნული ტელეკომპანიის ენ-ბი-სის კორესპონდენტის კითხვებს. საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

ტომ ბროკაუ, ენ-ბი-სის კორესპონდენტი: ბატონო გენერალურო მდივანო, ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი მოგზაურობისაგან ძალიან ბევრს მოელიან. როგორ ფიქრობთ, ახლა, როცა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხართ, მეტი გაგებით ეკიდებით ამერიკელებს, თუ წინათ, როცა სხვა პოსტი გიკავთ?

მ. ს. გორბაჩოვი. გიპასუხებთ ამ თქვენს კითხვაზე, ბატონო ბროკაუ. მაგრამ მინდა ჩვენი საუბრის დასაწყისშივე ვმეთხოვეთ და ენ-ბი-სის შესაძლებლობებით და უწინარეს ყოვლისა, გულწრფელად მივესალმო ყველა ტელემაყურებელს, ვინც ახლა გვისმენს, მთელ ამერიკელ ხალხს — მივესალმო გულწრფელად საბჭოთა ხალხის სახელით.

უნდა გითხრათ, რომ უკვე წელს 80 ათასი წერილი მივიღეთ ამერიკელებისაგან. ეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული უცხოეთის ფოსტის მესამედია. წერილებს ყველაზე ფართო წრის ავტორები ჰყავთ. ეს არის კონგრესმენების, საქმიანი ადამიანების წერილები, ბევრი წერილია მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებისაგან, ძალიან ბევრი წერილი გამოგზავნა ახალგაზრდობამ.

იცით, ბევრმა რამემ ამაღელვა ამ წერილებში. ავტორთა აზრი ხშირად მსგავსია, ეხება რამდენიმე უბრალო, მაგრამ ამავე დროს მეტად მნიშვნელოვან საკითხსა და პრობლემას, რომლებიც, როგორც ჩანს, აწუხებს ამერიკელ ხალხს. ამ წერილებში ლაპარაკია იმაზეც, თუ რა აწუხებთ ადამიანებს: სიტუაცია მსოფლიოში, სადაც დიდი დაძაბულობა, შფოთიანობაა, სადაც არ წყდება და არ წყნდება რეგიონალური კონფლიქტები. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გამო დიდი შეშფოთება, მართლაც, პირველ ადგილზეა.

ამ წერილებით ვიგრძენი, რამდენ სწყურიათ ამერიკელს მსოფლიოში სიტუაციის გაუმჯობესება. წინა პლანზე ისინი ჩვენი ურთიერთობის, ჩვენი ხალხების ურთიერთობის შეცვლის საკითხს სვამენ.

ამ წერილებმა ბევრი რამ შემძინა ამერიკელი ხალხის გაგების თვალსაზრისით. ისინი ავსებენ იმ უზარმაზარ პოლიტიკურ ინფორმაციას, რომლებიც მოდის სხვა არხების, მათ შორის ყველა დონის ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან კონტაქტების მეშვეობით. რა თქმა უნდა, ახლა უკეთ წარმომდგენია ამერიკის საზოგადოება, როგორც მგონია, ვიდრე ეს იყო ამ თანამდებობაზე ჩემს დადგომამდე.

მაგრამ იცით, რა არის მნიშვნელოვანი — მინდა გითხრათ ეს: ის, რასაც ამბობენ ამერიკელები თავიანთ წერილებში, როცა მომმართავენ მე, მიმართავენ საბჭოთა კავშირის მთავრობას, ჩვენს ხალხს, მეტად გასაგები და ახლობელია ჩვენი ხალხისათვის, ყველა ჩვენგანისათვის, საბჭოთა ადამიანებისათვის. ჩემი აზრით, ეს შობს ახალ სიტუაციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, იქნებ გავაკეთებთ კიდეც ჩვენი ორი ერი და ორივენი სახელმწიფოს პოლიტიკოსებსა და მთავრობებს, გავერკვეთ ჩვენ-ჩვენი ხალხების განწყობილებებში და ჩვენი პოლიტიკით გამოხატონ მათი ნება.

ახლა თავს ვანებებ სხვა საკითხებს, მაგრამ მინდა შევეხო ჩვენს ურთიერთობას. ვაშინგტონში იმ სურვილით მივდივარ, რომ ეს პრობლემაც განვიხილოთ. მიმაჩნია, მე მგონი, იგი წამყვანია, — როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა. ამერიკელები თავიანთ წერილებში ამბობენ: რატომ არ შეგვიძლია ვიყოთ მოკავშირეები, ხომ ვიყავით მოკავშირეები, რატომ არ შეიძლება ახლაც ვიყოთ? რამდენი პრობლემაა მსოფლიოში! განა არ შეგვიძლია გავაერთიანოთ ჩვენი სახელმწიფოების უდიდესი ძლიერება — ეკონომიკური, ინტელექტუალური — რათა გადავჭრათ ეს პრობლემები? ეს ძალზე, ძალზე საჭიროა.

ჩვენ გვჭირდება ურთიერთგაგება. მგონია, მეტი პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს, შევეცადოთ უკეთ ჩავწვდეთ ჩვენი სახელმწიფოების ისტორიასაც.

საბჭოთა კავშირი — უნიკალური მოვლენა, მთელი გაერთიანებაა — 100-ზე მეტი ერი და ეროვნება. თანაც, წარმოიდგინეთ, რა გზა გამოიარეს ამ ხალხებმა, რომლებმაც დღეს საბჭოთა კავშირი შექმნეს! გაისად აღინიშნება რუსეთის გაჭრისტიანების ათასი წლისთავი. მაგრამ უკვე მანამდე არსებობდა კიევის რუსეთი, რომელსაც ჰყავდა დინამიკური ხალხი, ჰქონდა ორიგინალური კულტურა, ფართო ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. აიღეთ ჩვენი ამერიკაკავასიელი ხალხები, შუაააზიელი ხალხები. მათ ისტორიის საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული. თავისებური ისტორია, რთული და მნიშვნელოვანი ისტორია აქვთ ბალტიისპირელ ხალხებს, მაგრამ ყველაფერი ეს დღეს საბჭოთა კავშირია. ჩვენს ისტორიაში ბევრი სირთულე იყო. ბევრი ბრძოლა გადავიტანეთ. გვიხდებოდა შემოსევების მოგერიება, ჩინგის-ყაენითა და ბათო-ყაენით დაწყებული და მოგვიანებით — საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა. და გამოიწრთო ხასიათი, ჩამოყალიბდა ღირებულებანი. ყველა ჩვენი ხალხი უფრთხილდება თავის კულტურას და ენას. ისინი პატრიოტები არიან, განვითარებული აქვთ ღირსების გრძნობა. შეუძლებელია ჩვენი და ჩვენი მოქმედების გაგება ისე, თუ არ იცი ეს ჩვენი ისტორია.

ჩვენ მშვიდობის მომხრენი ვართ. შეგიძლიათ მოიაროთ მთელი საბჭოთა კავშირი, იმოგზაუროთ ყველა მიმართულებით, და ყველგან ამას გაიგონებთ. ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მომდევნო კვირაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მნიშვნელოვან ეტაპად მიგვაჩნია. ეს ჩემი მესამე შეხვედრაა პრეზიდენტ რეიგანთან. ხელი უნდა მოვაწეროთ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას, საფუძვლიანად ვიმსჯელოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების თაობაზე, განვიხილოთ სხვა მსოფლიო პრობლემები. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, დიდი სჯა-ბაასი გვექნება.

ტ. ბროკაუ. აქ, ამ ერთი საათის განმავლობაში ჩვენც ბევრი რამ გვაქვს სათქმელი. მაგალითად, თქვენი ვიზიტისაგან ბევრ რამეს მოელიან. ყველა ღელავს საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მომავალი ხელმოწერის გამო. მაგრამ ბევრს იმისაც ეშინია, რომ საბჭოთა კავშირი დიდ უპირატესობას შეინარჩუნებს ევროპაში. თქვენ მზად ხართ შეამციროთ ევროპაში განლაგებული სამხედრო მოსამსახურეების, ტანკების, სამხედრო თვითმფრინავების რიცხვი?

მ. ს. გორბაჩოვი. ჯერ ერთი, ამერიკელებმაც, ევროპელებმაც და ყველა სხვამაც უნდა იცოდნენ: საბჭოთა კავშირი არავისზე თავდასხმას არ აპირებს, ეს პირველი. მეორე: არის რეალობები, რომლებიც შეიქმნა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი ბლოკის ფარგლებში. არის გარკვეული ასიმეტრია ჯარებშიც, შეიარაღებაშიც. მზად ვართ მივხედოთ ამას გადაუდებლად, წამოვაყენეთ წინადადებანი, უფრო აქტიური პოზიციის მოვლენათ ნატოსაგან. მზად ვართ ამას ხელი მოვკიდოთ პრაქტიკულად, მივუსხდეთ მაგიდას და გადავწყვიტოთ საკითხები.

ტ. ბროკაუ. ნატო და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები მეტად დააფასებდნენ, თქვენ ცალმხრივი წესით რომ გარდაგექმნათ თქვენი ჯარები უფრო თავდაცვითი, და არა შეტევითი თვალსაზრისით.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენი სამხედრო დოქტრინის შინაარსი, იგი თავდაცვითია. და მე ვიმეორებ: მზად ვართ ერთად მივუსხდეთ მაგიდას, და ისევე, როგორც განვიხილეთ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მდგომარეობა, განვიხილოთ ჩვეულებრივი იარაღისა და ჯარების საკითხი. ჩვენ კონსტრუქციულად ვიმოქმედებთ.

ტ. ბროკაუ. თქვენი აზრით, რა შანსებია საიმისოდ, რომ ზაფხულში თქვენ და პრეზიდენტი რეიგანი შეძლებთ ხელი მოაწეროთ ხელშეკრულებას სტრატეგიული რაკეტების, მართლაც რომ სახიფათო რაკეტების, ორმოცდაათი პროცენტით შემცირების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვი. მე მგონი, ამ საკითხში, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ღერძს წარმოადგენს, არის რეალური პერსპექტივები, ვფიქრობ, ძნელია განვჭვრიტა იმისა, თუ როგორ წარმართება ჩვენი საუბარი და რას მივაღწევთ მომავალი ვიზიტის დროს პრეზიდენტ რეიგანთან აზრთა გაზიარების შედეგად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს განსასჯელი. ვიმეორებ, რაც წინათ მითქვამს: მიგვაჩნია, რომ შეიძლება დიდი მუშაობა გავწიოთ ახლანდელი ადმინისტრაციის, დიახ, ახლანდელი ადმინისტრაციის პერიოდში და განიარაღების, ბირთვული განიარაღების ამ მთავარი მიმართულებით საფუძვლიანად წავიწიოთ წინ. ჩვენ კონსტრუქციულად ვიმოქმედებთ. ჩემი აზრით, ამერიკელებიც და მსოფლიოც დარწმუნდებიან, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ კონსტრუქციულად და კიდეც ვმოქმედებთ ასე.

ტ. ბროკაუ. განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე თქვენმა მთავარმა წარმომადგენელმა ამ დღეებში განაცხადა; შესაძლებლად მიმაჩნია სტრატეგიული რაკეტების ორმოცდაათი პროცენტით შემცირება, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის, „ვარსკვლავეთის ომების“ საკითხი კი, დაე, ამერიკელმა ხალხმა გადაწყვიტოსო. როგორ გგონიათ, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის აკრძალვის საკითხი ახლა უკვე არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც საკონტინენტთაშორისო რაკეტების შემცირების პირობა?

მ. ს. გორბაჩოვი. მე მგონია, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკითხი მოლაპარაკების საგანი არ უნდა იყოს. ჩვენ ვილაპარაკებთ სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებაზე, დონეებზე და ქვედონეებზე, და არის ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც შეიძლება დავთანხმდეთ და უკვე დავთანხმდით კიდეც. ჩვენ ვილაპარაკებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მკაცრად დაცვის თაობაზე, ამაზე ვილაპარაკებთ.

ტ. ბროკაუ. თუ სწორად გავიგე, თქვენ მიგაჩნიათ, რომ შეიძლება საკონტინენტთაშორისო რაკეტები 50 პროცენტით შემცირდეს ზაფხულში, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა კი ცალკე საკითხია?

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენს პოზიციას ზუსტად ვაყალიბებთ: მზად ვართ დავთანხმდეთ პირველ ეტაპზე ორმოცდაათი პროცენტით შემცირებას რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულების მკაცრად დაცვის პირობებში. იმ დონეზე, რა დონეზეც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა არ ეწინააღმდეგება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას, კი, ბატონო, ამერიკაში იმოქმედონ, აწარმოონ გამოკვლევები — იმ დონეზე, რა დონეზეც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა არ ეწინააღმდეგება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას.

ტ. ბროკაუ. იქნებ, ბატონო გენერალურო მდივანო, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის, „ვარსკვლავეთის ომების“ პრობლემის ყველაზე მარტივი გადაწყვეტა ის არის, რომ უბრალოდ მოვსპოთ „ვარსკვლავეთის ომების“ საჭიროება და მივაღწიოთ სსკონტინენტთაშორისო რაკეტების დიდ შემცირებას, მაშინ აღარც პოლიტიკურად, აღარც ტექნიკურად იქნება საჭირო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა.

მ. ს. გორბაჩოვი. სწორედ ეს შევთავაზე ბატონ რეიგანს რეიკიავიკში. ჩვენ ორი ნაბიჯიღა გვაშორებდა იმას, რომ დავგვედო შეთანხმება ამის თაობაზე. მაგრამ გზა გადაგვიღობა სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ.

თუ ჩვენ ვამცირებთ საშუალო სიშორისა და ნაკლები სიშორის რაკეტებს და თანახმანი ვართ პირველ ეტაპზე 50 პროცენტით შევამციროთ სტრატეგიული შეტევითი იარაღი, შემდეგ კი მოლაპარაკებ მოვსპოთ ბირთვული იარაღი, რაკი საჭიროა კოსმოსის მილიტარიზაცია, რაღა საჭიროა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა? თქვენ იცით, რომ ეს არის ცდა — ამერიკის თავდაცვის სფერონი ამერიკელ მგეგმავთა მორიგი ილუზია — გამოთვლით ტექნიკაში მოჩვენებითი უპირატესობის მეოხებით წინ გაიჭრან კოსმოსის მეშვეობით, მიაღწიონ უპირატესობას. მაგრამ, დამეთანხმეთ, ბატონო ბროკაუ, თუ ჩვენ ახლა დავიწყებთ იმის თვლას, რამდენს ცდილობდა ომის შემდეგ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, წინ გაჭრილიყო, მოეპოვებინა უპირატესობა, აღმოვაჩენთ, რომ არაფერი აქედან არ გამოვა. ჩვენ უბრალოდ ვაჩანაგებთ ჩვენს ქვეყნებს და მწვავე სიტუაციას ვქმნით მსოფლიოში. მთელი ბირთვული იარაღის 95, იქნებ, მეტი პროცენტიც კი, თავმოყრილია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჰოდა, რაკი ასეა, ახლა კიდევ კოსმოსში უნდა გავიტანოთ იარაღი? ეს იქნება დესტაბილიზაცია, რომელსაც არავინ იცის, რა მოჰყვება.

წარმოიდგინეთ, რამდენი დრო დასჭირდა იმას, რომ გვეპოვა ახლანდელი ბირთვული პოტენციალების შედარების კრიტერიუმები? ძალზე რთული საქმეა — პოტენციალების შედარება, მათი შეფასება. მაგრამ ითწლეულების მანძილზე, როგორც იქნა მივაგენით კრიტერიუმებს.

მაგრამ თუ გავალთ კოსმოსში, გავიტანთ იქ იარაღს, და გავაჩაღებთ შეჯიბრებას, მაშინ სხვა კრიტერიუმები დაგვჭირდება. დაიწყება ციებ-ცხელება — ვინ ვის აჯობებს. რომელიღაც მხარე უცბად დაინახავს, რომ მას წინ უსწრებენ, რა მოხდება მაშინ? ეს ერთი.

მეორე: ტექნიკაზე იმედის დამყარება, რომელიც გამორიცხავს დროული პოლიტიკური გადაწყვეტის მიღების შესაძლებლობას, სახიფათო თამაშია. და, რაც მთავარია: თუ ჩვენი ხალხები გამოხატავენ გარკვეულ ნებას, რატომ უნდა ვითვალისწინებდეთ ამა თუ იმ ქვეყნის ადამიანთა რომელიღაც ჯგუფის, თუნდაც რომელიღაც ფენის ნებასა და ინტერესებს? ეს ხომ დემოკრატიულობა აღარ იქნება. უმეცრესობა თავს ვერ უნდა ახვევდეს თავის ნებას უმრავლესობას. დემოკრატია — ეს უმრავლესობაა.

ტ. ბროკაუ. მაგრამ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მან იკისრა ვალდებულება. რა თქმა უნდა, მე აქ არ ვეწევი მოლაპარაკებას „ვარსკვლავეთის ომების“ შესახებ, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია იმის თქმა, რომ შერთებულ შტატებში ბევრის აზრით საბჭოთა მხარე კოსმოსის მილიტარიზაციას ეწევა და სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკუთარ პროგრამას ამუშავებსო. არა მგონია, რომ ჩვენ არ გადავწყვეტთ ამ საკითხს. მაგრამ, როგორც ჩანს, უნდა გადავიდეთ ახლებურ აზროვნებაზე. ბევრი რამ გავიგონეთ, წავიკითხეთ ახალი აზროვნების შესახებ წიგნში „გარდაქმნა“. თქვენ ამბობთ, ახალი აზროვნება ნიშნავს, რომ უშიშროებას სამხედრო საშუალებებით ვეღარ უზრუნველვყოფთო. ალბათ, აჯობებს ამის სადემონსტრაციოდ ავღანეთიდან გამოიყვანოთ საბჭოთა ჯარები. შეგიძლიათ დღეს თქვათ, როდის იქნებით მზად საამისოდ?

მ. ს. გორბაჩოვი. სანამ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა ოროოდე სიტყვა ვთქვა თქვენი რეპლიკის გამო — საბჭოთა კავშირი სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივაზე, ან მის მსგავს რამეზე მუშაობსო.

საერთოდ, ძნელია თქმა, რაზე არ მუშაობს საბჭოთა კავშირი. პრაქტიკულად ყველაფერზე, რაზეც ამერიკის შეერთებული შტატები მუშაობს. ალბათ, ვეწევით გამოკვლევებს, ფუნდამენტურ გამოკვლევებს, რომლებიც ეხება იმ მხარეებსაც, რომლებსაც ამერიკაში მოიცავს გამოკვლევები სტრატეგიულ თავდაცვითი ინიციატივის შესახებ. მაგრამ ჩვენ არ შეგვმნია სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, არ გავმლილთ სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, მოვუწოდებთ ამერიკასაც ასევე მოიქცეს, თუ ამერიკელები ამას ყურად არ იღებენ, პასუხს 10-ჯერ, 100-ჯერ უფრო იაფს ვიპოვით. მაგრამ მაშინ უკვე ყველაფერი ამერიკელების, მათი ადმინისტრაციის ბრალი იქნება.

ტ. ბროკაუ. საქმეც ეგ არის. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა არ გაიშლება მომდევნო საუკუნეზე ადრე. უკვე მოხდა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისთვის ასიგნებათა დიდი შემცირება. იქნება იმისათვის, რომ ამერიკელ ხალხს მიეცეს სიგნალი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სტრატეგიული რაკეტების შემცირება. ეს საქმე (სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან დაკავშირებით) უკვე ჭიანურდება, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ჭუმჭმობენ, რამდენად მიზანშეწონილია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა. და ეს პროცესი რომ დაჩქარდეს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სტრატეგიული რაკეტები უნდა შემცირდეს. თქვენ გექნებათ პასუხის დრო, თუ საჭირო გახდა.

მ. ს. გორბაჩოვი. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შენარჩუნების პირობით.

ავღანეთის შესახებ. იგი ჩვენი მეზობელია. ყველა რეჟიმის დროს კარგი მეზობლები ვიყავით, ეს ის სახელმწიფოა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ცნო რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება. ამ ქვეყანის მართავდნენ მეფეები და სხვები, მიმდინარეობდა პროცესები, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო იქ, ყოველთვის მეგობრები ვიყავით. ვცდილობთ ყველა მეზობელთან ასეთი ურთიერთობა დავამყაროთ.

თქვენთვის ცნობილი რევოლუციის შემდეგ ავღანეთში განხორციელდა შინაგანი რეფორმები, გადაიდგა ნაბიჯები, რათა საზოგადოება ჩამორჩენილი მდგომარეობიდან გამოეყვანათ. ფუნქციონირებს სხვა მთავრობა. მაგრამ ეს შინაგანი პროცესია.

ამავე დროს ძლიერდება პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, გარედან ჩარევასთან, ახალი რეჟიმის გარედან დამხობის ცდებთან. ავღანელები ჩვენ, როგორც მეზობლებს, დახმარებისათვის მოგვმართავდნენ ამ ძნელ მომენტში, ზოგის აზრით, მოგვმართეს თერთმეტჯერ, ზოგისა — ცამეტჯერ. ერთ-ერთ ასეთ მომენტში, როცა სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა, გამოვეხმაურეთ ავღანეთის მთავრობის თხოვნას და შევიყვანეთ ჩვენი ჯარების შეზღუდული კონტინგენტი და ეს არ ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

მაგრამ ვხედავთ, რომ ახლა სიტუაცია გადაწყვეტას მოითხოვს, ვეძებთ ამ პრობლემის უსწრაფეს გადაჭრის საშუალებებს. ჩემი აზრით, თუ ამერიკის ადმინისტრაციას გულწრფელად სურს, ეს პრობლემა პოლიტიკური ღონისძიებებით დაგვირგვინდეს, მისი გადაჭრა სწრაფად შეიძლება.

(დასასრული მე-2 გვ.).

მოლაპარაკება კრემლში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 30 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი რობერტ ჯეიმს ლი ჰოუკი, რომელიც წინა დღეს ლენინგრადში იყო.

აეროდრომზე რ. ჰოუკსა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

ამავე დღეს კრემლში დაიწყო ნ. ი. რიჟკოვისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკება რ. ჰოუკთან.

ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ რ. ჰოუკის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდი მოვლენაა საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის ურთიერთობაში, რომელიც მოწმობს, რომ თანამიმდევრულად ვითარდება სსრ კავშირისა და ავსტრალიის პოლიტიკური დიალოგი, ფართოვდება მათ შორის ურთიერთგაგება და თანამშრომლობა.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ ძალისხმევას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ბირთვული განიარაღების პრობლემების გადაჭრისათვის. მან წარმატება უსურვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებს, რომლებიც ხელს მოაწერენ ისტორიულ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, დაინტერესდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების თაობაზე მორიგების მიღწევის პერსპექტივებით.

აღნიშნა რა მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მომავალი შეხვედრის უდიდესი მნიშვნელობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ (განაცხადა, რომ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა იქნება პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ბირთვული განიარაღების გზაზე და მთელ მსოფლიოს უჩვენებს ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე ერთობ აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის რეალობას.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ კონფლიქტური სიტუაციები უნდა მოწესრიგდეს პოლიტიკური საშუალებებით, იმის საფუძველზე, რომ უარი თქვან სამხედრო ძალის გამოყენებაზე ან მისი გამოყენებით დამუქრებაზე, ზუსტად დაიცვან საერთაშორისო სამართლის ნორმები, განამტკიცონ ნდობა, ურთიერთგაგება და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

* * *

მოლაპარაკება გაგრძელდება.

კრემლში სსრ კავშირის მთავრობის სახელით სადილი გაუმართეს რ. ჰოუკსა და მის მეუღლეს.

სადილად იყვნენ პრემიერ-მინისტრის თანმხლები ავსტრალიელი ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, ე. ა. შევარდნაძე, ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ი. რიჟკოვმა და რ. ჰოუკმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

(საკდესი).

„ოქტომბრის რევოლუციაა: 70 წლის შემდეგ“—საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები „ოქტომბრის რევოლუციაა: 70 წლის შემდეგ“ — საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს, რომელიც ხმელთაშუა ზღვის კულტურულ ინიციატივათა ცენტრმა ქალაქ პალერმოში მოაწყო.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას სათავე დაუდო ლენინის დეკრეტმა ზავის შესახებ. თანამედროვე პირობებში, როცა ბირთვულმა იარაღმა სათუო გახადა თვით კაცობრიობის არსებობა, ცივილიზაციის ყველაზე საარსებო პრობლემაა კაცობრიობის გადარჩენისათვის, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ზრუნვა.

უახლოეს დღეებში მშვიდობის განმტკიცების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება: სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა თავიანთი შეხვედრის დროს ხელი უნდა მოაწერონ შეთანხმებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ჩვენი რწმენით, ეს გზას გაუხსნის რელურ პროგრესს სხვა სახეობის იარაღის შემცირების თაობაზე მორიგებათა მიღწევაშიც.

ისეთი შეხვედრები, როგორიც თქვენია, რომლებიც პირად ადამიანურ ურთიერთობას ეფუძნება, შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად და მასშტაბურად შეფასდეს თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნება, გამოიძებნოს ხალხთა თანამშრომლობის ახალი ფორმები, დაისახოს წინსვლის საერთო გზები ერთმანეთის უშიშროების, მშვიდობიანი თანაარსებობის, ადამიანისა და მისი მომავლის დაცვის ინტერესებისათვის.

გულწრფელად ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს ნაყოფიერ დისკუსიებს, რათა განმტკიცდეს ხალხთა ნდობისა და თანამშრომლობის კლიმატი ჩვენს საერთო სახლში, რომელსაც დედამიწა ჰქვია.

ა. გრომიკო,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ვიზიტი დამთავრდა

ბაქო, 29 ნოემბერი (საკდესი). დღეს დამთავრდა პორტუგალიის პრეზიდენტის მარიო სოარეშის ოფიციალური ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. იგი სსრ კავშირში იმყოფებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით. მასთან ერთად გამგზავრნენ პორტუგალიელი ოფიციალური პირნი.

* * *

სამშობლოში გზად მიმავალი პორტუგალიის სახელმწიფოს მეთაური ხანმოკლე დროით ჩამოხდა კიევში.

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვილნიუსი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია რ.-ბ. ი. სონგაილო, რომელიც ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

რეიდები უფრო ეფექტიანი გახდა



სტაბილურად მუშაობს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი. მიწოდებამ ასპროცენტიან მიჯნას მიაღწია. მიმდინარე წლის ათ თვეში რეალიზებულია თითქმის 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, გადაჭარბებით შესრულდა დავალებანი სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც, რაც საწარმოს საშუალებას აძლევს ნაოსიდან გადავიდეს თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს საზოგადოებრივმა კ

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ

ამერიკის ენ-ბი-სის ეროვნულ ტელეკომპანიას

(დასასრული)

ტ. ბროკაუ. რას ნიშნავს სწრაფად — სამ, ექვს თვეში?

მ. ს. გორბაჩოვი. ვფიქრობ, ამაზე მე და ბატონი რეიგანი მოვილაპარაკებთ.

ტ. ბროკაუ. ეს იქნება ვაშინგტონში თქვენი დღის წესრიგის მნიშვნელოვანი პუნქტი — ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანისა და იმის გარანტიების საკითხი, რომ იქაური მთავრობა საფრთხეს არ შეუქმნის სსრ კავშირს?

მ. ს. გორბაჩოვი. ვფიქრობ, მოვილაპარაკებთ რეგიონალურ კონფლიქტებზე ცენტრალურ ამერიკაშიც, სამხრეთ აფრიკაშიც, ახლო აღმოსავლეთშიც, სპარსეთის ყურეშიც, ავღანეთშიც.

ტ. ბროკაუ. მზად ხართ თუ არა მხარი დაუჭიროთ კუბასა და ნიკარაგუას იმავე დონეზე, როგორც წინათ?

მ. ს. გორბაჩოვი. არა მარტო მხარი უნდა დავუჭიროთ და შეკინარჩუნოთ ამ სახელმწიფოებთან არსებული ურთიერთობა, არამედ უნდა განვავითაროთ და გავაუმჯობესოთ იგი, ვფიქრობ, როცა ამ შეკითხვას მაძლევდით, სულ სხვა რამ გქონდათ მხედველობაში.

ტ. ბროკაუ. მხედველობაში მქონდა, გაგზავნით თუ არა მეტ იარაღს და მრჩევლებს კუბასა და ნიკარაგუაში?

მ. ს. გორბაჩოვი. ვფიქრობ, აქ მეტს ლაპარაკობენ იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ დაძაბულობა, ჰქონდეთ ჩარევის საბაბი. ღიმილს მგვრის, როცა ამბობენ, შეერთებული შტატების უშიშროებას საფრთხეს უქმნის სანდინისტური რეჟიმი. ეს არასერიოზულია. ქვეყანა გადაქცეული იყო ამერიკის უკანა ეზოდ. ხალხს ღარ შეეძლო ასე ცხოვრება. არ სურდა შერიგებოდა დიქტატურას და აღდგა მის წინააღმდეგ. მორალურად ვამარცხებთ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა იმ ხალხის სამართლიან გულისწყრომას, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება. რატომ არ მოსწონს ეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას? ჩემი აზრით, კონგრესშიც კი მიხვდნენ ამას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაც ბევრ ამერიკელს კარგად ესმის: ნიკარაგუა მათ საფრთხეს არ უქმნის.

ტ. ბროკაუ. მაგრამ, როგორც თქვენ დაარქვით, ახალი აზროვნების ფარგლებში ხომ არ დადგა დრო, სამხედრო დახმარება შეუმციროთ ისეთ ქვეყნებს, როგორიც ნიკარაგუა და კუბაა? დაე, ეს რეჟიმები, ასე ვთქვათ, თავისთვის იყვნენ.

მ. ს. გორბაჩოვი. რაკი მუდამ იმოწმებთ ახალ აზროვნებას, ნება მიბოძეთ, პატარა გაკვეთილი მოგცეთ. ვფიქრობ, პრეტენზიას არ გამოთქვამთ.

ტ ბროკაუ. თქვენ ახალი აზროვნების მასწავლებელი ბრძანდებით...

მ. ს. გორბაჩოვი. (იცინის). ჩემი აზრით, ახლა სიტუაცია მსოფლიოში ძირეულად განსხვავდება იმისაგან, როგორიც იყო იგი ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ, მით უმეტეს — 50-70 წლის წინათ. იმპერიები მოისპო, ისინი აღარ არიან. ათობით ხალხი გამოვიდა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე. მათ სურთ არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თავისთავადობა, არამედ სურთ იცხოვრონ უკეთ, იცხოვრონ ადამიანურად. მათ სჭირდებათ სურსათი, ტანსაცმელი, დიდიკამენტები. და წარმოიდგინეთ, აზიის, ლათინური ამერიკის, აფრიკის 2,5 მილიარდი მოსახლეობის განკარგულებაშია უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები, უზარმაზარი შრომითი რესურსები. და მაინც ყელამდე ვალში არიან, აქვთ დაბალი ცხოვრების დონე. ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა ამ სიტუაციის უყურადღებოდ დატოვება? არა. იგი გადაწყვეტას მოითხოვს.

ეკონომია კი? განა ეს არ არის საერთო, გლობალური პრობლემა? ახლა ბრძოლა დაავადებების წინააღმდეგ? განა ეს საერთო პრობლემა არ არის? მაშ, როგორ დავეუფლოთ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, თუ არ ვითანამშრომლეთ? განა ეს საერთო, გლობალური პრობლემა არ არის?

ინტერესები აქვთ საბჭოთა კავშირს, სამრიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ ინტერესები აქვთ სხვა ქვეყნებსა და ხალხებსაც. თუ წინათ საერთაშორისო ურთიერთობა ემყარებოდა ძლიერის უფლებას: ის, ვინც უფრო ძლიერია, ის მართალია, ახლა ეს არ გამოდგება. ჩვენ არ შეგვიძლია, რა ძლიერიც უნდა ვიყოთ, ხალხებს ვუკარნახოთ საკუთარი ღირებულებანი, თავს მოვახვიოთ მათ ჩვენი ცხოვრების წესი, თავს მოვახვიოთ სოციალური არჩევანი. ეს მათი საქმეა. თუ ჩვენ არ ვცნობთ არჩევნის უფლებას, არ ვცნობთ თითოეული ხალხის ინტერესს, საერთაშორისო ურთიერთობიდან არაფერი გამოვა. ეს ურთიერთობა ახლა, ისედაც უკვე საშიშია. მაგრამ ახალი აზროვნება გულისხმობს: პატივი უნდა ვცეთ თითოეული ხალხის არჩევანს. ჩვენ არა მარტო პატივს ვცემთ, არამედ ვცდილობთ კიდეც მორალურად, ხოლო სადაც საჭიროა, ეკონომიკურად და სამხედრო, თავდაცვითი თვალსაზრისით მხარი დავუჭიროთ ხალხის არჩევანს, რათა მან შეძლოს დაიცვას ის, რაც ხელში აიღო. აი აქ უნდა გავერკვეთ. საერთო მეცადინეობით უნდა შევცვალოთ მიდგომა, არ შეიძლება ვბრძანებლობდეთ მსოფლიოს, აქედან არაფერი გამოვა. უნდა შევცვალოთ მიდგომა.

ტ. ბროკაუ. თქვენ იცით, რაოდენ მნიშვნელოვანია სიმბოლოები პოლიტიკაში, ბატონო გენერალურო მდივანო. მთელ მსოფლიოში არ არსებობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაყოფის უფრო მახინჯი სიმბოლო, ვიდრე „ბერლინის კედელი“. რატომ არ უნდა ისარგებლოთ თქვენი გავლენით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმისათვის, რომ დაინგრეს ეს კედელი? რისთვისა დგას?

მ. ს. გორბაჩოვი. მე მგონია, ეს საკითხი გარკვეულია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა დაიცვას თავისი არჩევანი და არ დაუშვას მის საშინაო საქმეებში ჩარევა. დასავლეთ ბერლინიდან ბევრი რამ კეთდებოდა ისეთი, რაც ზიანს აყენებდა ამ ქვეყნის ხალხს პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. ყოველივე ეს რეალობანია, რომლებიც კონკრეტულმა სიტუაციამ შვა.

შემიძლია გიამბოთ, თუ როგორ ვუპასუხე ერთხელ ერთ დასავლეთგერმანელს. მან მითხრა: აი, ბატონო გორბაჩოვ, სტალინი ამბობდა, ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩებაო. თქვენ კი აიღეთ და გერმანია ორ სახელმწიფოდ გაყავით. მაშინ მე მას ვუპასუხე: „კარგით, მოდით გავიხსენოთ ისტორია, ფაქტები. და მოვაგონე მას ყველაფერი. თურმე მანაც ყველაფერი იცოდა. გერმანიის გაყოფა მოხდა იალტასა და პოტსდამში მიღწეული მორიგებების მიუხედავად. ასე რომ, კედელი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე გგონიათ. სხვა საქმეა, რომ იგი სხვა მასალით იყო ნაგები. ამის შედეგად მოხდა ის, რასაც დღეს ხედავთ. ახლა კი ეს უკვე რეალობებია, რეალობებს კი ისე უნდა მოვეკიდოთ, როგორც ამას მოითხოვენ.

ტ. ბროკაუ. როგორც ჩანს, აქ კედელს ვერ გადავახტებით, მაგრამ, აი, ადამიანის უფლებები. როგორ უნდა დავარწმუნოთ მსოფლიო, სსრ კავშირში ახალი აზროვნება, ახალი შეგნებაა, თუ ქვეყნიდან გასვლა-ჩამოსვლის ნება არ აძლევთ სსრ კავშირის მცხოვრებთ მოქალაქეობის დაკარგვის შიშით.

მ. ს. გორბაჩოვი. ბატონო ბროკაუ, ხომ არ გეწყინებათ გულახდილად რომ გიპასუხოთ? მე ვგულისხმობ, რომ ჩემთან ზის განათლებული და გათვითცნობიერებული კაცი. ხოლო ასეთ დიდ და მნიშვნელოვან თემას რომ ეხებით, მის მხოლოდ სპეკულაციურ ნაწილს იღებთ.

უფლებების შესახებ კი მზად ვარ ველაპარაკო ამერიკის ყველა წარმომადგენელს და თქვენც, თუ თავად ხართ მზად. და წარმოგიდგინოთ, როგორ არის უფლებების საქმე ჩვენში, თქვენთანაც, მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც. ჩვენ ვემხრობით მოქალაქეთა უფლებებს, ფართო უფლებებს. სწორედ ამისათვის მოვახდინეთ რევოლუცია. და ისიც, რაც გავაკეთეთ რევოლუციის დროს: წავართვით ძალაუფლება მემამულეებს და გადავეცით ხალხს; წავართვით ფაბრიკა-ქარხნები, კერძო საკუთრება და გადავეცით მშრომელებს. და ამ საფუძველზე მოვსპეთ ადამიანის ექსპლოატაცია. შევქმენით გეგმიანი ეკონომიკა, უზრუნველვყავით თითოეულის შრომის უფლება. ჩვენში უკვე რამდენი წელია, ალბათ ორმოცდაათ წელზე მეტია, არ არიან უმუშევრები. უფასო განათლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს; უფასო სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო, საზოგადოება უზრუნველყოფენ; სახელმწიფომ მნიშვნელოვანწილად იკისრა ზრუნვა ბინით მშრომელთა უზრუნველყოფისათვის.

რატომ არის ეს საინტერესო? ეროვნული შემოსავლის დონე ჩვენში უფრო დაბალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულდაბრივადაც. მაგრამ სოციალური დაცვის თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოება გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თქვენი.

თქვენ რომელ წელს დაიბადეთ?

ტ. ბროკაუ. 1940 წელს, ბატონო გენერალურო მდივანო, მაგრამ თქვენ იცით, რა მაქვს მხედველობაში...

მ. ს. გორბაჩოვი. მივალ ამ საკითხამდე.

მაშ ასე, 44-ში ფრანკლინ დელანო რუზველტმა შეიტანა ბილი ეკონომიკური უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ, და მიაჩნდა, რომ რეალური, ნამდვილი უფლებები ვერ იქნება, თუ ეს პრობლემები არ გადაიჭრება. საინტერესო ბილი იყო. მაგრამ იგი კონგრესის არქივებში დარჩა.

ბატონმა რეიგანმა გაითვალისწინა: ამერიკას აკრიტიკებენ იმისათვის, რომ არ ცნობს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, ხელს არ აწერს და არ ამტკიცებს ამ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ამას ეხება, ამისათვის მას მთელ მსოფლიოში აკრიტიკებენ, — და მიმდინარე წლის ივლისში ისევ შეიტანა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ ბილი თავისი ვარიანტი. თუმცა, ეს ის ბილი არ არის, რომელიც რუზველტს ჰქონდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის მისისიპსა და ვოლგაში, სანამ კონგრესი და ადმინისტრაცია ცნობენ სოციალურ-ეკონომიკურ დაცვას ამერიკელი ხალხის უფლებად, საბჭოთა კავშირში კი ეგი არის.

თქვენ ეხებით წასვლა-არწასვლის საკითხებს. იცით, მე მესმის ამერიკის მხარის გარკვეული შეშფოთება და წუხილი: ეს ხალხი იშვა, ჩამოყალიბდა იმიგრაციული პროცესების შედეგად. ჩვენი შეხედულებანი განსხვავდება. მაგრამ ამერიკაშიც, კანადაშიც არც ისე ძალიან სურთ, მაგალითად, შეუშვან მექსიკის, სხვა სახელმწიფოების მკვიდრნი, აქაოდა, ნაკლებკვალიფიციური ხალხიაო. მაგრამ აი, როცა 70-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან წასვლის მსურველთა ნაკადი განსაკუთრებით დიდი იყო, თქვენი ადმინისტრაციის ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა: საბჭოთა კავშირის ხარჯზე მათემატიკოსების მომრაველის პრობლემა 50 პროცენტით გადაწყვეტეთო. ანუ რომ ამერიკას სურს ამ არხების მეშვეობით, ასაღებს რა ამას ადამიანის უფლებების აქტიურ დაცვად, გადაწყვეტოს თავისი პრობლემა — ცდილობს ჭკვიანი ხალხის გადაბირებას. ჩვენ კი თავს ვიცავთ. ეს ერთი. მეორე, არასდროს არ დავთანხმდებით, რომ ადამიანებს აქეზებდნენ ჩვენი სახელმწიფოდან წასვლისათვის.

ტ. ბროკაუ. ძალიან ბევრი შემთხვევაა...

მ. ს. გორბაჩოვი. შემთხვევები გაირკვევა. ყველაფერი ნათელი გახდება. ყველა კონკრეტულ შემთხვევას დიდი ყურადღებით ვიხილავთ. ეს იცან კონგრესში, ეს იცის პრეზიდენტმა. კონკრეტულ შემთხვევებს ჰუმანურობის სულისკვეთებით ყოველთვის გადაწყვეტთ. მაგრამ ისევ და ისევ ჩვენი კანონების ფარგლებში. ასე რომ, სადაც მიზეალთ, იქაური ქუდი დაიხურეთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი სახელმწიფო — დემოკრატიული, რომელსაც საუფლოდად უძევს კომუნიტუცია, კანონები. კეთილი ნება? იგი ჩვენ გვაქვს. ოჯახების შეერთება პრობლემად მიგვაჩნია და ხელს შევუწყობთ მის გადაჭრას. არის წასვლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც. და ჩვენ მათ ყურადღებით განვიხილავთ. მაგრამ, მოდით, ამ პრობლემაში ნუ შევიტანთ პოლიტიკურ სპეკულაციას.

ტ. ბროკაუ. როგორ ფიქრობთ, ბატონო გენერალურო მდივანო, თუ, ვთქვათ, კანონი მეტად ნელა ხორციელდება თქვენს ქვეყანაში, ვთქვათ, ოთხი ათას საბჭოთა ებრაელს, რომლებიც დიდი ხანია წასვლას ელოდებიან, ზოგიერთი მათგანი კიბითი არის ავად, სურთ ნათესავებთან წასვლა. აი, ადამიანურად, რას ფიქრობთ მათზე?

მ. ს. გორბაჩოვი: ვფიქრობ, რომ ახლა იმ პირთაგან, რომლებმაც ვერ მიიღეს წასვლის ნებართვა, მხოლოდ ისინი არიან, რომლებსაც „ყარი ეთქვათ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით. სხვა მიზეზები არ არის. ჩვენ სწორად ასე ვიმოქმედებდთ.

ტ. ბროკაუ. ბატონო გენერალურო მდივანო, მინდა დაგისვათ კითხვა გარდაქმნის შესახებ. თქვენი ეკონომიკის გარდაქმნის შესახებ. საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სურსათის წარმოების გარდაქმნა, თქვენს დიდ სახელმწიფოს უცხოეთიდან შემოაქვს სურსათი. თქვენი წერილი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ორი პროცენტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდეს წილს აწარმოებს. არ აპირებთ მიწების მეტი ნაწილი გადასცეთ კერძო პირებს და უფრო მეტი სტიმული მისცეთ მათ?

მ. ს. გორბაჩოვი. ეს კითხვა დამისვა ბატონმა რეიგანმა. ასე მგონია, რომ მან ბოლოს, შენც იგივე ჰკითხეო. ზუსტად ასეთი ფორმულირებით!

ტ. ბროკაუ. არა, ეს ამბავი კარგად იციან ამერიკაში პრეზიდენტმაც და უბრალო რეპორტიორებმაც.

მ. ს. გორბაჩოვი. იცით, რას გეტყვით: სურსათის პრობლემა გვაქვს. და ეს ის დროს, როცა სამუალოდ 3400-ზე მეტ კალორიას ვიღებთ. მაშასადამე არის პრობლემა კვების სტრუქტურაში.

ახლა რაც შეეხება იმას, რამდენ პროდუქციას აწარმოებენ წვრილი ინდივიდუალური მეურნეობები. მაგალითად, ორ პროცენტ დამუშავებულ მიწაზე წვრილი ინდივიდუალური მეურნეობები აწარმოებენ ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაახლოებით მესამედს. ეს ინდივიდუალური მეურნეობები ვერაფერს ვერ იზამდნენ, მაგრამ ისინი იღებენ მარცვლეულს, პიროტყვეს, ტექნიკურ დახმარებას, სასუქებს, სპეციალისტთა კონსულტაციას, სატრანსპორტო მომსახურებას, თესლს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. ისინი ინტეგრირებული არიან კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. არის სახელშეკრულება დებენ კოლმეურნეობა და ინდივიდუალური მეურნეობა. ეს მეურნეობა, როგორც წესი, შედგება იმავე კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის წევრებისაგან. ამიტომაც მონაწილეობენ ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის პროცესში.

ტ. ბროკაუ. გააფართოებთ თქვენ ამ პრაქტიკას?

მ. ს. გორბაჩოვი. ამ საქმეს ერთი საინტერესო მხარე, ერთი საინტერესო ასპექტი აქვს. ჩვენ ახლა ხანგრძლივ საფუძველზე ვთავაზობთ ოჯახებსაც, პირთა ჯგუფებსაც, აიღონ მიწის ნაკვეთები, ან იჯარით აიღონ წარმოების რაიმე საშუალებები. გამოიჩინონ ინიციატივა. ჩვენ ვახერხებთ დიდ მეურნეობათა შესაძლებლობებისა და ამ პატარა ჯგუფების ინდივიდუალური ინტერესის შერწყმას. აი ამ მიმართულებას ყოველმხრივ დავუჭერთ მხარს. იგი უკვე ახლა გვაძლევს კარგ შედეგებს. მაგრამ ეს საკოლმეურნეო წყობილების შეცვლას. როდი ნიშნავს. არა, ეს ყოველივე მოქნილად უხამებს ერთმანეთს დიდი მეურნეობის შესაძლებლობებს, რომელიც ბევრს კისრულობს, ოჯახის, ან პირთა მცირე ჯგუფის ინიციატივას, პირად, მატერიალურ ინტერესს, რომელიმე კულტურის მოვლა-მოყვანის ან მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მიზნით. ამას ფართოდ განვავითარებთ.

ტ. ბროკაუ. თქვენ ნებას მისცემთ ცალკეულ საწარმოებს დაადგინონ ფასები, დაუშვებთ უმუშევრობის ზრდას ქვეყანაში, გასწევთ ეკონომიკური დაქვეითების ამ ინფლაციის რისკს, რაც გარდაქმნის ნაწილი იქნება? ეს მთლიანად შეცვლის საბჭოთა ეკონომიკურ სისტემას.

მ. ს. გორბაჩოვი. არა, ჩვენ ამას გადავწყვეტთ სოციალიზმის ფარგლებში და საკუთარი მეთოდებით. დასავლეთში სტრუქტურულ პოლიტიკას და მოდერნიზაციას თან სდევს უმუშევრობის ზრდა. ჩვენ კი გვსურს ეს თავიდან ავიცილოთ, და ამას სწორედ ასე ვიზამთ. ასეთი შესაძლებლობებს სახავს გეგმიანი ეკონომიკა. ჩვენ უკვე ახლა ვამუშავებთ სამუშაო ადგილების შექმნის გეგმებს ახალ ტერიტორიებზე, სხვა სფეროებშიც, განსაკუთრებით მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში. სწორედ ასე წარმართება გეგმიან საფუძველზე ადამიანების ერთი სფეროდან მეორეში გადასვლა სახელმწიფოს შესაბამისი დახმარებით, მათი ხელახალი კვალიფიკაცია. ვფიქრობ, ეს განზრახულდება იმგვარად, რომ გავლენას არ მოახდენს მშრომელთა შემოსავალზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ეკონომიკის ადაპტაციას წარმართავთ სოციალისტური მიდგომის ფარგლებში, რათა არ დაუშვათ უმუშევრობა. ეს ჩვენი ცენტრალური ამოცანაა.

ტ. ბროკაუ. და არ იქნება არც ერთი სხვა პარტია, კომუნისტური პარტიის გარდა, სსრ კავშირში უახლოეს მომავალში?

მ. ს. გორბაჩოვი. ვერ ვხედავ ამის საჭიროებას, — ასეთია ჩვენი საზოგადოების აზრიც. დღევანდელი ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში ვითარდება, ღრმა ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკას, პოლიტიკას, დემოკრატიის სფეროს, სულიერ, სოციალურ სფეროს, ყველა ეს ცვლილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივით ხდება.

ჩვენ შევქმენით ახალი ატმოსფერო ქვეყანაში, საჯაროობის, გულახდილობის ატმოსფერო. ვსახავთ გეგმებს სამისოდ, რომ კვლავაც წინ წავწიოთ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესი. ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივით ხდება. პარტია კრიტიკის ქარცეცხლს არ შეუშინდა. ეს არის სწორედ დემოკრატია.

ტ. ბროკაუ. იქნება, სწორედ ამაზე გველაპარაკა. თქვენს წიგნში ამბობთ: სამართლე მთავარია. ლენინი ამბობდა: მეტი სინათლე. ერთ-ერთმა თქვენმა კოლეგამ ცენტრალურ კომიტეტში, მოსკოვის ყოფილმა ხელმძღვანელმა ელცინმა მხარი დაუჭირა რეფორმებს, უფრო სწრაფ რეფორმებს, მისი სიტყვა არ გამოქვეყნებულა, ხოლო როცა გადაყვენეს, ეს ძალზე დაუფარავად ქნეს და ამაზე ბევრიც დაწერეს. ამერიკას ეს სტალინიზმის ექოდ მოეჩვენა. ეს შეცდომა იყო?

მ. ს. გორბაჩოვი. არა, შეცდომა არ ყოფილა. იცით, ჩვენ გარდაქმნის თანამიმდევრულად დემოკრატიისა და რეფორმის გზით ვიზეთ მტკიცედ და თანამიმდევრულად, მაგრამ არ გადავახტებით ეტაპებს. არ დავუშვებთ ავანტიურიზმს. ჩვენ შევისწავლეთ ამ მხრივ ყველა სხვა ქვეყნის გამოცდილება. შევისწავლეთ საკუთარი გამოცდილებაც. მაგრამ ჩვენ არც კონსერვატიზმს დავუშვებთ. ჩვენ ბრძოლას ისე განვგრძობთ, რომ არ დავუშვებთ ავანტიურიზმს და გადაჭრით ვიბრძოლებთ კონსერვატიზმთან, გამოვიჩენთ დიდ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას. ჩვენს უკან დგას უზარმაზარი ქვეყანა, დიდი ხალხი, ვერ დავუშვებთ პოლიტიკის თამაშს. ის კი, რაც მოხდა ბ. ნ. ელცინთან დაკავშირებით... კი მაგრამ, ეს ხომ ნორმალური პროცესია ყოველი დემოკრატიისათვის. არ ჩამოვთვლი ბატონ რეიგანის დროს რამდენი მინისტრი შეიცვალა, მათ შორის — ბოლო ხანს...

ტ. ბროკაუ. ჰო. მაგრამ, როცა მათ ცვლიან, აძლევენ შესაძლებლობას ახსნან, რატომ ცვლიან, ჩვენ ვისმენთ მათ აზრს.

მ. ს. გორბაჩოვი. სხვათა შორის, ამხანაგი ელცინი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ორჯერ გამოვიდა, გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზეც. უნდა გითხრათ, მისი გამოსვლა საქალაქო კომიტეტის პლენუმზე სიტყვასიტყვით არის გამოქვეყნებული. თვით ბ. ნ. ელცინმა დასვა საკითხი გაეთავისუფლებინათ იგი ამ უფლებამოსილებისაგან. მოდით, ჩვენ დაგვანებეთ ასეთი საკითხების გადაწყვეტა. ვფიქრობ, კიდევ გვექნება პრობლემები გარდაქმნაში. ისინიც უნდა გადავჭრათ. მაგრამ ჩვენს პოლიტიკურ გეზს, გარდაქმნის გეზს მტკიცედ განვაგრძობთ.

ტ. ბროკაუ. სულ რამდენიმე წუთიღა დაგვრჩა. იქნებ ცოტა-დენი თქვეფზე, როგორც ადამიანზე გვესაუბრა. საბჭოთა კავშირში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ მისცენ ქალს საშუალება, ბოლოს და ბოლოს ნამდვილი ქალი გახდეს. როგორ ფიქრობთ, ქალი უფრო მეტად შინ უნდა იჯდეს, ასრულებდეს დედის, ასე ვთქვათ ოჯახის დედაბოძის ტრადიციულ როლს?

მ. ს. გორბაჩოვი. არა, ვფიქრობ, რომ ქალი უნდა მონაწილეობდეს ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა საზოგადოებრივ პროცესში. მაგრამ ეს ერთიმეორის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რომ დავეხმაროთ ჩვენს ქალს საზოგადოებრივ, კულტურულ საქმეებში აქტიური მონაწილეობა შეუხამოს თავისი დანიშნულების, ოჯახის დედაბოძის მოვალეობის, შესრულებას. მტკიცე ოჯახი ჰტკიცე საზოგადოებას ნიშნავს. ჩვენ არ შევზღუდავთ ქალის მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში, პირიქით დავეხმარებთო, რომ ეს გაუადვილდეს, შეურწყას ერთმანეთს დედობის ფუნქციები, დედის როლი და ქვეყნის აქტიური მოქალაქის როლი.

ტ. ბროკაუ. ყველამ მიგაქციეთ ყურადღება, რომ ქალბატონი გორბაჩოვა მუდამ თან გახლავთ, როცა სადმე მიბრძანდებით. როცა საღამოობით ერთმანეთს ხვდებით, საუბრობთ თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე და ა. შ.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ ყველაფერზე ვმსჯელობთ.

ტ. ბროკაუ. ვიღებ თქვენს პასუხს. როგორ იგებთ ამერიკის შეერთებული შტატების ამბებს? კითხულობთ ამერიკულ გაზეთებს, ნახულობთ ამერიკის ტელევიზიის პროგრამებს, თუ საგანგებო ხალხი გატყობინებენ, რა ხდება შეერთებულ შტატებში? როგორ იკმაყოფილებთ ცნობისმოყვარეობას შეერთებულ შტატებში მომხდარი მოვლენების შესახებ?

მ. ს. გორბაჩოვი. მე დიდი ინფორმაცია მაქვს, არა მარტო პრესის, არამედ სხვა არხების შეშვეობითაც. ჩვენში ბევრს თარგმნიან ამერიკულ პოლიტიკურ, სოციოლოგიურ, მხატვრულ ლიტერატურას. ჩვენს ქვეყანაში იმას, ვინც დაინტერესებულია, დიდი შესაძლებლობანი აქვს იცნობდეს ამერიკას.

ტ. ბროკაუ. ამერიკულ წიგნებს თუ კითხულობთ?

მ. ს. გორბაჩოვი. ამაზე ასე გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, ჩემთვის პირველი ადგილი უკავია რუსულ ლიტერატურას, საბჭოთა ლიტერატურას, მაგრამ ამერიკული ლიტერატურა ჩვენში დიდი ინტერესით სარგებლობს. თუ დავიწყებთ თარგმანების რიცხვის, იმის შედარებას რამდენი ავტორი ითარგმნება და იკითხება საბჭოთა კავშირში, უზარმაზარ ციფრებს მივიღებთ. რა თქმა უნდა, უფრო მეტად ვკითხულობდი ამერიკულ კლასიკას, მაგრამ თანამედროვე მწერლებშიც არიან მნიშვნელოვანი ფიგურები. ოლონდ, დაე, ამერიკელები ნუ მიიჩნევენ თავიანთ მიღწევებს ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად ადამიანის აზროვნების ყველა მიმართულებით, მაშინ ისინი იპოვნიან მათთან კამათის, ნებისმიერი პრობლემის გამო აზრთა გაზიარების ბევრ მსურველს.

ტ. ბროკაუ. თვალს ადევნებთ პრეზიდენტის 1988 წლის არჩევნების კამპანიას? და თუ ადევნებთ, როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს პრეზიდენტის არჩევნებში გაისად შემოდგომაზე? ბევრი ამერიკელი ეკითხება ამას საკუთარ თავს.

მ. ს. გორბაჩოვი. იცით, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ კვლავ პასუხისმგებლობით ვიმუშავებთ ნებისმიერი პარტიის ადმინისტრაციასთან: იქნება ეს რესპუბლიკური პარტია, დემოკრატიული თუ რომელიმე სხვა. ჩვენ ვითანამშრომლებთ, თუ შესაბამის სურვილს და ძალისხმევას გამოიჩენს მეორე მხარე. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, მხოლოდ ის შინდა ვთქვა, რომ ჩვენ მისი დამთავრების შემდეგაც ახლანდელი პრეზიდენტის ნებისმიერ მემკვიდრესთან აქტიურად ვითანამშრომლებთ, მზად ვართ ვითანამშრომლოთ. რაც შეეხება იმის პროგნოზებს, თუ ვინ გაიმარჯვებს, ვინ გახდება პრეზიდენტი... მე მგონია, ამაზე ლაპარაკი უპასუხისმგებლობა იქნებოდა. ამერიკელები გაარკვევენ, ვინ სურდეთ მათ . და თავად გადაწყვეტენ.

ტ. ბროკაუ. და ბოლოს ბატონო გენერალურო მდივანო, ძალზედ მოკლედ. როგორ გინდათ, რომ ამერიკელებმა გაგიხსენონ თქვენ, გორბაჩოვის ერა, ვთქვათ, 10 წლის შემდეგ?

მ. ს. გორბაჩოვი. არ მინდა, რომ 10 წლის შემდეგ ყველაფერი მხოლოდ მოგონებად დარჩეს. ჩემი აზრით, მხოლოდ მაშინ ამოქმედდება სრული ძალით ყველაფერი, რაც ახლა ჩავიფიქრეთ და დავიწყეთ. ასე რომ, ვიმედოვნებ და დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს ყველაფერი წარსულს არ ჩაბარდება, ეს იქნება დინამიკური აწმყო, ამის გულისათვის ვუშუამბ დღეს სწორედ ჩემს კოლეგებთან, ყველა მშრომელთან ერთად. ვფიქრობ, რომ ახლა კარგ თესლს ვთესავთ, და იგი კარგ მოსავალს, ნაყოფს მოგვიტანს. სხვაგვარად უაზრობა . იქნებოდა ყოველივე იმის კეთება, რასაც ახლა ვაკეთებთ ენთუზიაზმით, დაძაბულად, იმ სურვილით, რომ სასიკეთოდ შევცვალოთ ყველაფერი სოციალიზმის და საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ. ვფიქრობ აგრეთვე, რომ ის, რაც ჩვენთან ხდება, გარკვეულ წვლილს შეიტანს კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესში.

ტ. ბროკაუ. ბატონო გენერალურო მდივანო, დიდ მადლობას გიხდით ინტერვიუსათვის.

მ. ს. გორბაჩოვი. კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვუთხრა ამერიკელ ტელემაყურებლებს — ამერიკის მიწა-წყალზე შეხვედრამდე.

სახელმწიფო მიღება: გამოცდილება და პროგნოზები

უნაკლოდ ჩავაბაროთ ობიექტი

გავრცელებული აზრი, რომ შეუძლებელია სწრაფი მუშაობის დროს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, გაამათლა თბილისის № 2 სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა. ნორმატივთან შედარებით სამი თვით ადრე ააგო და უხარვეზოდ ჩააბარა მან ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა რესპუბლიკის დედაქალაქში. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისათვის სახელმწიფო მიღების სამსახურმა მშენებლებს მაღალი შეფასება მისცა. სახელმწიფო მიღება ეტაპობრივად ინერგება საწარმოებში და ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ კომბინატის ყველა ქვეგანაყოფს მოიცავს.

მომავალი წლის იანვრიდან მშენებლობის პრაქტიკაში თბილისის მრავალი სახლის ჩაბარებისას ბოლო სიტყვას იტყვის არა სახელმწიფო კომისია, არამედ არასაუწყებო კონტროლი, რომელზეც იმეღებს ამყარებენ და არცთუ შემთხვევით. დარგის მუშაობის ხარისხი ხომ უკვე დიდი ხანია სერიოზულ საყვედურს იწვევს. ხარისხი აქ უაღრესად აქტუალური პრობლემა გახდა. დღეს, მრავალი დასჯითი სანქციის მიუხედავად, უწინდებურად ყველაზე მეტად ზარალდებიან ახალმოსახლენი, საერთოდ სახელმწიფო, რომელსაც ძვირად უჯდება დაშვებული წუნის გამოსწორება. მარტო ერთი შენობისათვის, რომელსაც „საშუალო ხარვეზები“ აქვს, ასეთი დანახარჯები ზოგჯერ მრავალ ათას მანეთს შეადგენს. ახლა რამდენი დაჯდება თითქმის 150 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საბოლო

კანონი ყველასათვის ერთია

კაცობრიობის განვითარებისა და ცივილიზაციის საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს კანონები, კანონით რეგულირება რთული საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

საბჭოთა კანონის განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ მას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იღებს, რომელშიც მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი მოსახლეობის ნება-სურვილია გამოხატული. კანონს უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, რომლის უყოყმანოდ, უმწიკვლოდ და პატივისცემით შესრულება ყველასათვის საკონსტიტუციო მოვალეობაა. აქედან გამომდინარე კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებას. პარტია მოითხოვს აღვზრდილი მოსახლეობა კანონის პატივისცემის სულისკვეთებით, უპირველესად კი თანამდებობის პირები. საბჭოთა ადამიანების მართლშეგნება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი თანამდებობის პირთა მოქმედებას კანონის დაცვის მიმართ. ვერავითარი საუბრებით ვერ დაგვასწორებთ მართლშეგნების დეფექტებს, თუ მოქალაქე ხედავს, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი დაუდგენრად ეკიდება კანონს, უხეშად არღვევს ან გვერდს უვლის მას.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელებისათვის მოქმედი კანონის გაცნობა-განმარტებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, მეცნიერი იურისტები და პრაქტიკოსები სისტემატურად უნდა ხვდებოდნენ მშრომელებს, ახალგაზრობას, რათა გაათვითცნობიერებინონ მათ მოქმედი კანონმდებლობის არსი, კანონის მიზნები და ამოცანები. ყოველი მშრომელი საბჭოთა ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი ქცევისათვის, უფრთხილდებოდეს თავისი კოლექტივის ღირსებასა და პრესტიჟს, რისთვისაც პატივისცემით და მოკრძალებით უნდა ასრულებდეს კანონებს. კანონის უმწიკვლოდ შესრულების აუცილებლობა მშობლებმა უნდა შთაუნერგონ შვილებს, დღენიადაგ ასწავლონ და გააცნონ მათ ის მკაცრი შედეგები, რომლებიც მოჰყვება კანონის დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევას დანაშაულებრივი ქმედითობის ჩადენისას.

კანონიერების დარღვევის შემთხვევები ჯერ კიდევ როდია ამოძირკვული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უკომპრომისო ბრძოლას ეწევა კანონიერების დარღვევათა აღმოსაფხვრელად, ჯერ კიდევ არის მოქმედი კანონებისა და ნორმატიული აქტების უხეში დარღვევები. ამის ნათელი დადასტურებაა ახლახან გამოვლენილი წამატებების, თვალის ახვევის ფაქტები მშენებლობაში, ზარისსოდ, უვარგისად აშენებული საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივ-სოციალური დანიშნულების მრავალი ნაგებობა, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად დასაჯა მშენებლობის დარგის ყოფილი პასუხისმგებელი, ხელმძღვანელი მუშაკები.

მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში რევოლუციური ხასიათის დაჩქარებული გარდაქმნები მიმდინარეობს, სწორდება წარსულში დაშვებული შეცდომები. გარდაქმნის გზაზე გარკვეული ნაბიჯი გადადგეს რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა. დღეს სერიოზული ყურადღება ექცევა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების გაძლიერების აუცილებლობას. ამის ნათელი დადასტურებაა XXII ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში არსებულ სერიოზულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე.

ქვეყანაში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ირკვევა ისე ფშვიათად ხდება სერიოზული გადახრები სამართლის ნორმებისაგან. საერთოდ იყენებს საქმის განხილვას, ბორტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის ვადამდე ადრე გაიწვიე ოცი სახალხო მოსამართლე, ხოლო რამდენიმე სახალხო მასამართლე თანამედროვე ეტაპზე პარტია მიიჩნევს მომდინარე გარდაქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ მხარედ.

ისინი, ვინც არღვევენ მოქმედ კანონებს, აფერხებენ დაჩქარებას, ქვეყნის წინსვლას. გარდაქმნის ამოცანა უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებასთან. მთელი ჩვენი საზოგადოების სამართლიან აღფოთებასა და გულისტკივილს იწვევს, როცა სამართალდაცვითი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი არღვევს მატერიალურ თუ პროცესუალურ კანონებს, მოქალაქეთა საჩივრების მიმართ იჩენს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, აჭიანურებს საქმის განხილვას, ბორტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის ვადამდე ადრე გაიწვიე ოცი სახალხო მოსამართლე, ხოლო რამდენიმე სახალხო მასამართლე თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისათვის განსასჯელის სკამზე მოხვდა და მსჯავრდადებულია. არადა, სამართალდაცვითი ორგანოების თანამშრომლები კანონიერების ზუსტად გამტარებელნი და აღმასრულებელნი უნდა იყვნენ, რათა მათ სხვათა დასჯისა და აღზრდის მორალური უფლება ჰქონდეთ.

სწორედ ამ მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის იანვრის პლენუმმა სამართალდაცვითი ორგანოების კადრებთან მუშაობის თვისებრივად გაუმჯობესების ამოცანა დასახა და პლენუმის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ის, ვინც მართლწესრიგის საქმეს ემსახურება, თავად უნდა იყოს კრიტიკულად სპეტაკი კანონის წინაშე, პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმზე (1987 წ. 25 აპრილი) გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ მუშაობის საგრძნობი გაკეთილურების მიუხედავად, ვერ ვიგრძენით მოსალოდნელი თვისებრივი ძვრები ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში. ბევრი მუშაკის მიმართ თვით საზოგადოებრივი აზრიც ვერ არის მთლად სახარბიელო.

გარდაქმნის. პერიოდში თვისებრივად იზრდება როლი, მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა სამართალდაცვითი ორგანოების მეტად რთული საქმიანობისათვის. სამართალდაცვითმა ორგანოებმა უმეტესად ღონისძიებებს უნდა მიმართონ სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევების აღსაკვეთად, ობიექტურობის, სამართლიანობისა და საჯაროობის დასამკვიდრებლად.

სკკპ XXVII ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რეგულარულად განიხილავს რესპუბლიკაში კანონიერების დაცვისა და განმტკიცების პრობლემურ საკითხებს და ქმედითს ღონისძიებებს სახავს კანონიერების უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად. 1986 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სახელმწიფო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფისათვის, თვალისახვევის და წამატებების ამოძირკვისათვის პარტიის ახმატის რაიკომის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი.

თვალისახვევის და წამატებების ფაქტები გამოვლინდა რაიონის თითქმის ყოველ მესამე საწარმოსა და ორგანიზაციაში. დატაცებულია ასი ათასობით ფულადი თანხები, ძირითადად, საყოფაცხოვრებო მომსახურების, მოსახლეობის შეკვეთით ბინების რემონტისა და მშენებლობის უბანზე, ყურძნის, ასკილისა და სხვა ველური ბალის დამზადებისას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შესაბამისი მკაცრი ღონისძიებანი განახორციელა დამტაცებელთა და მომთვისებელთა მიმართ.

კარგი და მისასალმებელია ის, რომ მშრომელებს აღარ სურთ შეურიგდნენ კანონიერების დარღვევებსა და უგულებელყოფას. ადამიანები აღარ ურიგდებიან იმას, რაც ეწინააღმდეგება სოციალიზმის იდეალებს. გარდაქმნის, ახლებურად აზროვნების მოთხოვნები ღღის წესრიგში სვამს კანონის პატივისცემით, უყოყმანოდ და უმწიკვლოდ შესრულების საკითხს.

არ უნდა ვაჭიანებდეთ ჩვენ გვერდით იმათ, ვინც კანონს არღვევს. დღეს, როგორც არასდროს, მთავარია კანონისადმი ადამიანის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად, ყოველი ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავარწმუნოთ კანონების დაცვის აუცილებლობაში, შემდეგ კი ვაიძულოთ მისი შესრულება. სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ შეუწყნარებელნი სოციალისტური კანონიერების დამრღვევებისადმი.

სკკპ XXVII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და საზოგადოების ყველა სფეროს გარდაქმნა, მისი თვისებრივი შეცვლა შეუძლებელი იქნება, თუ უყოყმანოდ, უმწიკვლოდ, მოკრძალებითა და პატივისცემით არ შევასრულთ მოქმედი კანონები. ის, ვინც არღვევს მოქმედ კანონებს, ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის დაჩქარებულ გარდაქმნას.

პარტია აძლიერებს და ამწვავებს ბრძოლას იმათ მიმართ, ვინც ეკონომიკურ და მორალურ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ვინც არღვევს მოქმედ საბჭოთა კანონებს. პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მართლწესრიგის, კანონიერების გამტკიცება, პიროვნების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა, საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რასაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

დ. ცინცაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში

ექიმთა დიდი სიჯა-ბაასი

მიმდინარეობს.

გუშინ მუშაობას შეუდგა საქართველოს პედიატრთა მეექვსე ყრილობა. მისი მონაწილენი განიხილავენ ბავშვთა ჯანდაცვის ორგანიზაციის, აგრეთვე, სხვა აქტუალურ საკითხებს.

დღეს კი ჰადრაკის სასახლეში მუშაობას იწყებს ოფთალმოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ოფთალმოლოგიის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული პლენუმი. ამასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი თვალის სპეციალისტები — მეცნიერები სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან. ისინი მოხსენებებს წაიკითხავენ ოფთალმოლოგიის ყველაზე პრობლემურ საკითხებზე.

პლენუმი ორ დღეს გასტანს. ოთხ დეკემბერს გაიმართება სემინარი „მეცნიერება-პრაქტიკას“.

სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარში

გაიხსნა ბაგა-ბაღი

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სოფლის ასამდე ბავშვიანი ქალი ამირიდან შეძლებს აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ბაგა-ბაღი აშენებულია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სახსრებით.

ეს ინფორმაციაც ახალშენებლობას ეხება:

ახალციხის რაიონში აშენებული ნაგებობების უმეტესი ნაწილი ადმინისტრაციულ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა. მაგალითად,

რაიონულ ცენტრში აღიმართა

სასამართლოს და პროკურატურის ახალი ორსართულიანი შენობა, ხოლო სოფლებში ტიასა და ივერიაში გაიხსნა შერეული მაღაზიები.

თეორიული კონფერენცია

გაიმართა თეთრ წყაროში, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

მოხსენება „კომუნისტური პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. სტურუამ.

„გარდაქმნა ოქტომბრის იდეების განხორციელებაა“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანმა ც. ბაიდარაშვილმა.

ჟურნალისტი

საკდესი იუწყება
1 დეკემბერი

უდიდესი მოვლენის წინ

ვაშინგტონი. ამერიკის ენ-ბი-სი ტელეკომპანია უჩვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის ინტერვიუს, რომელიც მან მოსკოვში მისცა ცნობილ ამერიკელ ტელეჟურნალისტს ტომ ბროკაუს.

ყველა წამყვანმა ამერიკულმა გაზეთმა წინასწარ გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა ხელმძღვანელის ინტერვიუს ჩვენების შესახებ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამ უპრეცედენტო მოვლენას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს“. ინტერვიუს ტექსტი ინგლისურ ენაზე წინასწარ გაავრცელა ენ-ბი-სი ტელეკომპანიამ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობებით, სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოში მოსული წერილებით თუ ვიმსჯელებთ, მილიონობით ამერიკელი მოუთმენლად ელის ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ხელმძღვანელის ჩამოსვლას და პრეზიდენტ რეიგანთან მისი მოლაპარაკების დაწყებას.

* * *

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა მოუწოდა ამერიკელ კონსერვატორებს მხარი დაუჭირონ საშუალო და ნაკლები სიზორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომლის წინააღმდეგაც ამერიკის შეერთებული შტატების უმეტესობის მემარჯვენე ძალებმა წამოიწყეს გააფთრებული შეტევა. ორშაბათს აქ მოსახლეობის ფონდის კონსერვატორული ორგანიზაციის წევრების წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება ეფუძნება შემოწმების ეფექტიან რეჟიმს. ადმინისტრაცია განაგრძობს ინტენსიურ მზადებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის, თქვა რეიგანმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შეინიშნება პროგრესი სტრატეგიული შეიარაღების რადიკალური შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობდეს სტრატეგიული შეიარაღების არსენალების სანახევროდ შემცირების საკითხი დაუკავშიროს „იმ ღონისძიებებს, რომლებიც ძირს გამოუთხრიდა“ ამერიკის შეერთებული შტატების „ვარსკვლავთის ომების“ პროგრამას. რეიგანმა დაადასტურა ვაშინგტონის ადმინისტრაციის სრული ერთგულება „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შემდგომი რეალიზაციისადმი, რომელიც, როგორც მან თქვა, „ქვაკუთხედია ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიაში 90-იანი წლების უშიშროების დარგში“. ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ამ სისტემის შემუშავებას, ხოლო „როცა იგი მზად იქნება, ჩვენ მას განვალაგებთ“, განაცხადა რეიგანმა კონსერვატორთა ტაშის გრიალში.

◆ **ბელგია**

შთანხმოებანი ვერ დაძლიეს

დამთავრდა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა

ბრიუსელი. ორშაბათს აქ უშედეგოდ დამთავრდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. იგი მიეძღვნა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესიისათვის მზადებას, რომელიც ამა წლის 4-5 დეკემბერს გაიმართება კოპენჰაგენში. მინისტრებმა ვერ გადალახეს მწვავე უთანხმოებანი „საერთო ბაზრის“ გაჯეანურებული საფინანსო კრიზისის დაძლევის გზების გამო, აგრეთვე ვერ გამონახეს კომპრომისული გადაწყვეტილება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმის საკითხების შესახებ.

◆ **ავღანეთი**

პირჩიეს პრეზიდენტი

ქაბული. აქ მუშაობა დაამთავრა ლოია ჯირგამ, რომელზეც დამტკიცეს ავღანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ქვეყნის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ნაჯიბული. 30 ნოემბერი გამოცხადებულია ავღანეთის სახალხო დღესასწაულად — კონსტიტუციის დღედ.

ლოია ჯირგას მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნაჯიბულამ. შემდეგ მან გამოაცხადა, რომ ლოია ჯირგას წინ და მის აღსანიშნავად რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა ბრძანებულება ამნისტიის შესახებ, რომლის თანახმად განთავისუფლდება 5 ათასი პატიმარი. ნაჯიბულამ აგრეთვე გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის 30 ნოემბრის ბრძანებულებით ძალაში შედის და ქვეყნდება ავღანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

მეთვალყურენი იმ აზრისა არიან, რომ ამ შეხვედრის წარუმატებლობას საფუძვლად უდევს საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სწრაფვა— საბოტაჟი გაუწიონ ევროპის გაერთიანებათა კომისიის მიერ შეთავაზებულ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების აგრარული და საბიუჯეტო პრობლემების მოწესრიგების ღონისძიებებს. პარიზი და ბონი უარს ამბობენ განიხილონ ეს ღონისძიებები, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ისინი ლახვარს ჩასცემს ფრანგი და დასავლეთგერმანელი ფერმერების შემოსავალს. მათი პოზიცია წააწყდა ლონდონისა და ჰაგის მტკიცე წინააღმდეგობას, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებებს.

მინისტრები იძულებული გახდნენ დასჯერებოდნენ ამ „გადასაჭრელი პრობლემების კატალოგის“ შედგენას, რომლებსაც წარუდგენენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს მომავალ სესიაზე კოპენჰაგენში.

ფოტოინფორმაცია

2 დეკემბერი ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღეა

თორმეტი წლის წინათ, 1975 წლის 2 დეკემბერს გამოცხადდა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ქვეყანა სოციალისტური საზოგადოების შენებას შეუდგა. ლაოსელმა ხალხმა დაიწყო ბრძოლა კოლონიური ჩაგვრისა და იმპერიალისტების მიერ თავსმოხვეული დამანგრეველი ომის მძიმე შედეგების წინააღმდეგ.

სახალხო ხელისუფლების წლებში ქვეყანაში აღადგინეს ასზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა, აიგო ახალი ობიექტები. წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის კოოპერირების პროცესი. ქვეყანაში აღმოფხვრილია უწიგნურობა, დაწყებით და საშუალო სკოლაში სწავლობს რესპუბლიკის ყოველი მეექვსე მცხოვრები, სამეცნიერო-პროფესიონალური დაწესებულებების ქსელი მოიცავს მთელი ქვეყნის ტერიტორიას, ვითარდება ეროვნული კულტურა. ცხოვრების არც ერთი სფერო არ არის, სოციალისტური გარდაქმნის სიკეთე რომ არ შეხებოდეს.

სურათებზე: ქვეყნის ახალგაზრდობა; ტრიუმფული თაღი „ანუ სავარა“ ლაოსის დედაქალაქის ვიენტიანის ცენტრში.

საკდესის ფოტო.

● **აშშ**

გაიხსნა სსრ კავშირის გამოფენა

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქის ცენტრში აღიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. აქ მუშაობა დაიწყო მოძრავმა გამოფენამ „სსრ კავშირი: ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება“.

ვაშინგტონისა და კოლუმბიის ოლქის მცხოვრებთა სახელით გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდა ვაშინგტონის მერის მოადგილე ქეროო ტომფსონი. ამ გამოფენის გამართვას, თქვა მან, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი დაგვეხმარება უკეთ გავიცნოთ საბჭოეთის კულტურა, ისტორია და ცხოვრება და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარების გზაზე.

„გარდაქმნა“, „სიჯაროობა“ — ეს სიტყვები, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა ინგლისურ ენაში და თარგმნას არ მოითხოვს, ხვდება გამოფენის დამთვალიერებლებს, სადაც წარმოდგენილია ათასზე მეტი ექსპონატი. თვეზე მეტი ხნის მანძილზე ვაშინგტონელები და ქალაქის სტუმრები გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ისტორიასა და მის დღევანდელ დღეს, შეიტყობენ, თუ როგორია განვითარების პერსპექტივები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, როგორ მიმდინარეობს ღრმა გარდაქმნები საბჭოთა საზოგადოების ყველა სფეროში, გაეცნობიან საბჭოთა ხალხების მრავალეროვანი ოჯახის ტრადიციებსა და კულტურას.

ექსპოზიციის მუშაობის დროს უჩვენებენ დოკუმენტურ და ვიდეოფილმებს, გაიმართება სხვადასხვა დისკუსია და შეხვედრები.

სულ ექსპოზიციის მოწყობაში მონაწილეობდა 130-ზე მეტი საბჭოთა სამინისტრო, საგარეო-სავაჭრო გაერთიანება, კულტურის ორგანიზაცია. გამოფენა უკვე გაიმართა ახალ ორლეანსა და ატლანტაში, შემდეგ კი იგი მოეწყობა ცინცინატსა და კანზას-სიტში.

გარდაიცვალა ჯეიმს ბოლდუინი

პარიზი. საფრანგეთის საკურორტო ქალაქ სენ-პოლ-დე-ვანსში ნიცის მახლობლად ორშაბათს ღამით 63 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯეიმს ბოლდუინი. მის კალამს ეკუთვნის წიგნები „ბილ-სტრეტს რომ ენა ჰქონდეს“, „მკვლელობა ატლანტაში“ და სხვა.

ზემთხვევა

ხანძარი პარიზის ცენტრში

პარიზი. ერთი მუშა დაიღუპა და ორმა დაშავრობა მიიღო ხანძრის შედეგად, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის ცენტრში მაგისტრალურ გაზსადენზე გაჩნდა. ექვსკაციანი ბრიგადა გაზის კომუნიკაციებს არემონტებდა ღრმა სანგარში, როცა გაზის გაჟონვის გამო ალი გაჩნდა. ხანძარი სწრაფად მატულობდა და სანგრის მახლობლად მდებარე მაღაზიას მოედო. იგი სხვა შენობებსაც ემუქრებოდა. ახლომდებარე სახლებიდან ასობით მცხოვრები გახიზნეს. შემოხვევის ადგილას მისულმა მეხანძრეებმა გადაწყვიტეს სანგარი, საიდანაც ძლიერი ალი ამოდიოდა, მიწით ამოვესოთ. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა მიწა ამოიღეს, რათა სარემონტო სამუშაოები განეგრძოთ, სანგარის ფსკერზე 34 წლის მუშის დამწვარი გვამი იპოვეს.

ყვითელი ციებ-ცხელების ეპიდემია

დაკარი. ყვითელი ციებ-ცხელების იშვიათი და მეტად საშიში ფორმის ეპიდემია სწრაფად ვრცელდება დასავლეთ აფრიკაში. როგორც სენეგალის დედაქალაქში არსებული პასტერის ინსტიტუტის ლაბორატორიის წარმომადგენლები იუწყებიან, ეს დაავადება, რომელსაც შინაური ცხოველები ავრცელებენ, ხშირად სიკვდილს იწვევს. ეპიდემიამ, რომელიც მავრიტანიაში დაიწყო, უკვე შეაღწია მალსა და სენეგალში. მდგომარეობას ართულებს ის, რომ ეპიდემიით მოცულ აფრიკის ქვეყნებს არა აქვთ საკმარო მედიკამენტები.

ეკონომიკა

საკდესი იუწყება
1 დეკემბერი

◆ **გერმანია**

შთანხმოებანი ვერ დაძლიეს

დამთავრდა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა

ბრიუსელი. ორშაბათს აქ უშედეგოდ დამთავრდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. იგი მიეძღვნა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესიისათვის მზადებას, რომელიც ამა წლის 4-5 დეკემბერს გაიმართება კოპენჰაგენში. მინისტრებმა ვერ გადალახეს მწვავე უთანხმოებანი „საერთო ბაზრის“ გაჯეანურებული საფინანსო კრიზისის დაძლევის გზების გამო, აგრეთვე ვერ გამონახეს კომპრომისული გადაწყვეტილება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმის საკითხების შესახებ.

◆ **ავღანეთი**

პირჩიეს პრეზიდენტი

ქაბული. აქ მუშაობა დაამთავრა ლოია ჯირგამ, რომელზეც დამტკიცეს ავღანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ქვეყნის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ნაჯიბული. 30 ნოემბერი გამოცხადებულია ავღანეთის სახალხო დღესასწაულად — კონსტიტუციის დღედ.

ლოია ჯირგას მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნაჯიბულამ. შემდეგ მან გამოაცხადა, რომ ლოია ჯირგას წინ და მის აღსანიშნავად რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა ბრძანებულება ამნისტიის შესახებ, რომლის თანახმად განთავისუფლდება 5 ათასი პატიმარი. ნაჯიბულამ აგრეთვე გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის 30 ნოემბრის ბრძანებულებით ძალაში შედის და ქვეყნდება ავღანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

● **ლიბერია**

მზადდება შეთქმულება

ნიუ-იორკი. ლიბერიის პრეზიდენტმა სემიუელ დოუმ განაცხადა, რომ მზადდება შეთქმულება მისი მთავრობის დამხობის მიზნით, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მონიტორინგიდან. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიმბის საგრაფოში გამოსვლისას მან თქვა, რომ ძირგამომთხრელ მოქმედებაში აქტიურად მონაწილეობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში თავშეფარებული ლიბერიელები. ასეთ პირობებში, თქვა პრეზიდენტმა, უშიშროების გაძლიერებული ღონისძიებების მიღება გვმართებს.

საგარეო პატრიოტიზმი

მე ავღანეთში ვმსახურობდი

საფარმოედე, სადაც ტრაქტორმა კომბინირებული საკვები უნდა მიიტანოს, ჯერ კარგა გვარიანი გზაა. ელგუჯა ქალაქვილის „ბელარუსი“ ხმაურით მიუყვება შარას. ფიქრშალილი ყმაწვილი კაცი მდუმარედ მიადევნებს მზერას დაწინაურებულ მანქანებს.

მაშინაც ამ ტრაქტორს უჯდა, სოფელ აგარებთან მეზობლის ბიჭი რომ წამოეწია და, სამხედრო კომისარიატში გიბარებენო, მიაძახა.

იმ ამბიდან სამიოდე თვის შემდეგ კი ერთმანეთს გადაება ალანეთში ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის მძიმე და ნიფთიანი დღეები. იყო გაჭირვებაც, მგზგრის დაკარგვის ტკივილიც, ჭრილობაც. მერე კვლავ შობლიური სანახები...

— ძნელია ავღანეთში? — თუმცა ვგრძნობდი ამ შეკითხვის უსუსურობას, მაინც ვკითხე.

ერთი პირობა ალმაცერად გამომეხედა. მერე კარგა ხანს ხმა არ გაუღია. პარტიის ბაშურის რაიკომში ვისხედით და ვსაუბრობდით.

მძიმედ ყვებოდა განცდილს.

თანამებრძოლებთან ერთად ავტომატით ხელში იცავდა ერთ-ერთ უღელტეხილს ავღანეთის ადალმთიანეთში. იმხანად დუშანებმა ერთობ გააქტიურეს დივერსიული საქმიანობა, ახლომახლო ყიშლაღებში დასაყრდენ ძალას ეძებენენ და, ვეროვის რომ ვერ გადაიბირებდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ მოსახლეობას. არა ერთხელ და ორჯერ უფრენიათ აწიოკებული, ცეცხლწაკიდებული სოფლებიდან დუშანების დაჭირავებული ბანდები ელგუჯასა და მის მეგობრებს.

— ერთხელაც, ერთ-ერთი ასეთი რეიდის შემდეგ, იხსენებს ელგუჯა, — ნაწილი ვბრუნდებოდით. ნაცნობი მთაგრეხილის აღმართებს რომ შევუდექით, მოულოდნელად ორივე მხრიდან კლდეებსა და გამოქვაბულებში ჩამალულმა მტერმა ცეცხლი დაგვიშინა. მანქანებიდან გადმოვხტით, მოხერხებულ ადგილებში ჩავსაფრდით. საბრძოლო პოზიცია დავიკავეთ და ახლა ჩვენი ტყვიამფრქვევებიც „ალაპარაკდნენ“.

მე და ვოვა ბონდარენკო, რომელსაც საოცრად შევეფთვისე, ერთ უზარმაზარ ლოდს ამოვეფარეთ. გაცხარებული ბრძოლისას ალბათ კლდეზე ასხლეტილი ტყვია ქვედა ყბის ქვეშ მომხვდა. ვოვა მომეხმარა სისხლდენის შეჩერებაში.

ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. როცა მთებში ბინდი ჩამოწვა, მაშინღა გაუჩინარდნენ გადარჩენილი დუშმანები სიბნელეში.

იმ ბრძოლისას დავკარგე ჩემი ძმობილი ვოვა ბონდარენკო.

— რა თქმა უნდა, ძნელია ავღანეთში, მხოლოდ ამის შემდეგ, თითქოს ახლაღა გადაწყვეტოო ჩემს პირველ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მძიმედ თქვა ელგუჯამ...

შემდეგ იყო ჰოსპიტალი, ოპერაცია და ხანგრძლივი მკურნალობა ქაბულსა და ტაშკენტში...

შინ მოულოდნელად დაბრუნდა, არავინ ელოდა. გვიანი შემოდგომა იდგა. დედა ფანჯარასთან იჯდა და წინდებს ქსოვდა, სიხარულით ელდანაცემს გორგალი ხელიდან გაუვარდა, კისერზე ჩამოეფეთნა ავღანეთიდან დაბრუნებულ ბიჭს, რომელსაც მკერდზ

შემოქმედებითი ახალგაზრდობა

კვლავაც გამარჯვებით!

ქართული ვოკალური სკოლის ბოლოდროინდელ წარმატებებში უდავოდ დიდია თვალსაჩინო პედაგოგის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის გულნარა ქართველიშვილის წვლილი. დაახლოებით ერთი წლის წინათ მისი აღზრდილის მაია თომაძის ბრწყინვალე გამარჯვების მოწმენი გავხდით საერთაშორისო სარბიელზე, და აი, სულ ახლახან კვლავ მისი აღზრდილი, ამჯერად ნარა გლუნჩაძე საფრანგეთის ქალაქ ტულუზის საერთაშორისო კონკურსზე რჩეულთა შორის აღმოჩნდა, რაც საპატიო დიპლომით დადასტურდა.

ახალგაზრდა მომღერლის, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტის ნარა გლუნჩაძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ღირსსახსოვარ ფურცლად ჩაიწერა ტულუზის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა, მსოფლიოს 24 ქვეყნის 102 ვოკალისტთან შეპაჟერება და ცხრა რჩეულთა შორის მოხვედრა, რომელთაგან ხუთმა დაიკავა საპრიზო ადგილები, ორი ვოკალისტის ხელოვნება კი საპატიო დიპლომით აღინიშნა. მისი ხელოვნებით კვლავ ფრანგები დაინტერესდნენ და კონცერტსა და საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობა სთხოვეს სამომავლოდ...

მუსიკალურ ოჯახში აღზრდილმა გოგონამ ჯერ კიდევ ბავშვობისას შეისისხლხორცა თეატრალური ატმოსფერო. მამა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვახტანგ გლუნჩაძე (ლირიკულ-დრამატული ტენორი), წლების მანძილზე საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი იყო, დედაც, ეთერი, გუნდის მომღერალი და ასევე დამსახურებული არტისტია. ნაირას უყვარდა მშობლებთან ერთად თეატრში სიარული და სპექტაკლების დროს ხშირად, სადღაც კულისებში იდგა ხოლმე სცენისაკენ მომზირალი. ბავშვობიდან დაკვა რწმენაც, რომ მხოლოდ უზომო შრომისმოყვარეობაა ხელოვნებაში წარმატების საფუძველი და თავიდათავი. აი, რას იტყვის ამაზე მისი პედაგოგი ქალბატონი გულნარა:

— პირველსავე გაკვეთილზე შევნიშნე, რომ ნაირას უზომოდ უყვარდა თავისი პროფესია. მესამე სამუსიკო სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულს (პედაგოგი თ. სალარაძე) თავისი ლამაზი ტემბრის ლირიკული სოპრანოს ისეთი შესაძლებლობები არ ჰქონდა, როგორც დღეს აქვს. საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობისა და დისციპლინის წყალობით იგი დღითი დღე იზრდებოდა შემოქმედებითად, და მალე აითვისა ის, რაც სოპრანოს პარტიებისათვის იყო მისაწვდომი. უკვე მეხუთე კურსის სტუდენტი ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი გახდა, დღეს კი საუნდო ტექნიკისა და ვოკალური ნიჭით დაჯილდოებული დასრულებული მომღერალია.

ბავშვობას უკავშირდება ნაირა გლუნჩაძის ცხოვრების კიდევ რაწელს ახალგაზრდებს შორის წლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პრემიაც მიიღო და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზიც. წარმატება ხვდა ამ როლში მომდევნო წელს მოსკოვური გასტროლების დროსაც. საოპერო სიმსუბუქითა და გრაციოზულობით, ზომიერებ ი ს გრძნობითა და წმინდა ინტონაციებით მღერის ხაირა ამ პარტიას. ხამდვილი მოცარტის ცერლინხაო, აღნიშნეს კიდეც მაშინ მოსკოველებმა.

შემოქმედებითი გზის დასაწყისიდან დღემდე ნ. გლუნჩაძის მიერ შესრულებული საოპერო პარტიებიდან უწინარესად უნდა დავასახელოთ მარო („დაისი“), მარეხი („აბეასალომ და ეთერი“), დეზდემონა („ოტელო“), ვიოლეტა („ტრავიატა“), პრინცესა ნინეტა („სამი ფიოროთხლის სიყვარული“).

ასე მოვიდა ტულუზის საერთაშორისო კონკურსამდე... ამ დღეებში კი ახალგაზრდა მომღერალი მშობლიური ქალაქის მსმენელთა წინაშე წარდგა საანგარიშო სოლო კონცერტით, რომლის პროგრამაც მთლიანად მოიცავდა კონკურსზე შესრულებულ ნაწარმოებებს: ჰენდელი, მოცარტი, პერსელი, როსინი, ბელინი, ვერდი. ამ კომპოზიტორთა ქმნილებებთან ერთად ვოკალისტმა დამატებით შეასრულა ს. რახმანინოვის რომანსები და რაველის „პაბანერა“.

ისევ მის აღმზრდელ პედაგოგს მოვუსმინოთ, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთესი და შეუცდომელი მისი შეფასება იქნება.

— მიუხედავად იმისა, რომ კონცერტზე ნაირამ სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებები შეასრულა, მან კარგად გაართვა ამას თავი. განსაკუთრებით გამოვყოფდი სემირამიდას არიას როსინის ოპერიდან „სემირამიდა“, რაველის „პაბანერას“ და რახმანინოვის ფსიქოლოგიურად და ტექნიკურად რთულ, ძალზე ემოციურ რომანსებს. მისეული შესრულება ძალზე შთამბეჭდავად ღღერდა. ეს კონცერტი იყო მისი საუცხოო ტექნიკის, ნიჭისა და ვოკალური ხელოვნების მშვენიერი დემონსტრაცია. მომღერალი ახლა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია და მჯერა, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო მეტად გაგვახარებს, მეტ გამარჯვებას მოუტანს ქართულ ვოკალურ სკოლას.

რ. მუხიგულაშვილი.

ინტერვიუ

ახლახან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესიდან დაბრუნდა ცნობილი ქართველი არქიტექტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია, რომელიც ბუენოს-აირესში გამართული არქიტექტურისა და დიზაინის საერთაშორისო „ბიენალე-87“-ზე მონაწილეობდა.

— რამ განაპირობა ბიენალეში თქვენი მონაწილეობა? — ჰკითხა ვ. დავითაიას „კომუნისტის“ კორესპონდენტმა.

— წელს მაისში ჭილად მხვდა პატივი, მონაწილეობა მიმეღო იუნესკოს მიერ პრაღაში მოწყობილ სიმპოზიუმში, რომელიც მიეძღვნა ქალაქში ხელოვნების ინტეგრაციის საკითხებს. სიმპოზიუმზე მეც გამოვედი. ეტყობა, ბუენოს-აირესის ბიენალეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეზე, არგენტინის ხელოვნებისა და კომუნიკაციის ცენტრის დირექტორზე, ცნობილ ხელოვნებათმცოდნესა და გამომცემელზე ხორხე გლუზბერგზე ჩემს გამოსვლას ახალი ლაურეატები — მსოფლიოს თხუთმეტი ქვეყნის არქიტექტორთა ნამუშევრები.

— სახეზეთა კავშირიდან თუ გახდა ვინმე ლაურეატი?

—უნდა გითხრათ, რომ ბუენოს-აირესის ბიენალეებში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა საბჭოთა არქიტექტორს, აქამდე ამ უდიდეს ფორუმის არც კონკურსის მონაწილე ყოფილა ვინმე და არც სტუმარი, რაც შეეხება მასში საბჭოთა არქიტექტორის, კონკრეტულად ჩემს ახლანდელ მონაწილეობას, ეს არქიტექტურულმა საზოგადოებრიობამ აღიქვა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების კიდევ ერთ დადასტურებად.

თანამშრომლობის ჰორიზონტები

გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია. და მან წერილობითი თხოვნა გამომიგზავნა, რათა მონაწილეობა მიმეღო ბუენოს-აირესის ბიენალეში. იგი მთავაზობდა აგრეთვე ბიენალეს ჟიურიში მონაწილეობას, პერსონალური გამოფენის მოწყობას, საავტორო გამოსვლას და ლექციების წაკითხვას სტუდენტი არქიტექტორებისათვის არგენტინის სამ უნივერსიტეტში (ბუენოს-აირესი, როსარიო და მარდე-პლატა).

— მერე, ათ დღეში მოხერხდა ყოველივე ამის შესრულება?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც სოფიის ბიენალეზე მოეწყო, სამწუხაროდ, ვერ ჩამოესწრო არგენტინის ბიენალეს. სხვა გამოსავალი არ იყო, და მასპინძლებმა ჩემი ნამუშევრების გამოფენა აიწყვეს მცირე ზომის ფოტოებისაგან, ხოლო სოფიიდან გამოფენის ჩასვლას ელოდებიან და, ალბათ, მოგვიანებით გამართავენ მას. მიკიღე მონაწილეობა ბიენალეს. შთავარი მოვლენის — პროექტების და განხორციელებული ობიექტების ჟიურიში. 300-მდე ობიექტის და პროექტის გულდასმით შესწავლა მოგვიხდა, რასაც სამი დღის დაძაბული შრომა დასჭირდა, გამოვლინდნენ ბიენალეს

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ხვალ იწყება და 8 დეკემბრამდე გასტანს

საოპერო მუსიკის ფესტივალი

ფესტივალში მონაწილეობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. წარმოდგენილი იქნება ბ. კვერნაძის „არს მუსიკა“ და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“.

▼▼

გუშინ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში

მოგზაურობიდან დაბრუნდა

ქართული ხალხური საკრავების დამკვრელთა ტრიო „საუნჯე“ ძმების ნიკო და რაულ ნადირაშვილებისა და გია ასანაშვილის შემადგენლობით. ახალგაზრდა მსახიობები იქ იმყოფებოდნენ სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის შემოქმედი ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში. ვიზიტი დაუკავშირდა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულს.

დელეგაცია ეწვია ფხენიანს, კესონს, ზოგიერთ სხვა ქალაქს, სადაც გამართა თორმეტი კონცერტი. ადგილობრივმა ტელევიზიამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ანსამბლის გამოსვლებისადმი. მათი ერთ-ერთი კონცერტი მთლიანად ჩაიწერეს და გადასცეს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის პირველი არხით.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ დელეგაციის წევრები მიიწვია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც 1989 წელს უნდა გაიმართოს ფხენიანში. მანამ უკვე წელს „საუნჯეს“ მოელის ახალი მოგზაურობა საზღვარგარეთ — იგი დეკემბერში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ფესტივალში ინდოეთში.

▼▼

ქალაქ რუსთავის

ქიმიკოსთა სასახლეში გაიმართა

პოეტ ჯეიმს პეტერსონის შემოქმედებითი საღამო. სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის აფრიკის ხალხებთან მეგობრობის ასოციაციის წევრს ჯ. პეტერსონს საბჭოთა მკითხველი იცნობს, როგორც ლექსების ათი კრებულის ავტორს. მას წარმატებით იღებენ კინოშიც. მრავალ ჩვენგანს, ალბათ, ახსოვს იგი პატარა ხანგი ბიჭის როლში კინოფილმ „ცირკში“ ლ. ორლოვას მონაწილეობით. საღამოზე პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსები. დამსწრეთ უჩვენეს სხვადასხვა კინოფილმების ფრაგმენტები მისი მონაწილეობით.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ვ. მარდალეიშვილმა.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ორმოცდამეერთე“. მთავარ როლებში მსახიობები ეუფუნა კაბულაშვილი და ვლადიმერ ხაჩიძე.

ხსოვნა

ლამაზი სულის თვალებით...

პრემიერა თეატრში ზეიმია. ასე იყო, ასე იქნება. პრემიერას ხშირად გამარჯვება მოაქვს, ზოგჯერ იმედგაცრუება, ან იმედი უკეთესი მომავლისა. ერთი სიტყვით, პრემიერა ბაინც პრემიერაა, მაგრამ ამას წინათ გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში გამართული პრემიერა მაინც განსაკუთრებული იყო. იმ დღეს აქ ბ. ლავრენევის მოთხრობის მიხედვით ინსცენირებულ „ორმოცდამეერთეს“ უჩვენებდნენ (ინსცენირების ავტორი გ. შალუტაშვილი). მთავარ როლებს გორელებისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი მსახიობები ეუფუნა კაბულაშვილი და ვლადიმერ ხაჩიძე ასრულებდნენ. მონაწილეობდნენ აგრეთვე მსახიობები თ. რევაზიშვილი, გ. ქოქოშვილი, ზ. პავლიაშვილი და ნ. ასანიძე. საინტერესო და გამომსახველი იყო ფსიქიკალის მხატვრობა, რომელიც ვანო არჩვაძეს ეკუთვნის. ეფექტი ჭაკჭანიძის შერჩეული მუსიკაც უხდებოდა წარმოდგენის ხასიათს. დარბაზში გორელი მაყურებლის გარდა ბევრი სტუმარი იჯდა — თბილისიდან, ახალციხიდან, რუსთავიდან, ფოთიდან... რა მოხდა? პერიფერიის თეატრებს იშვიათად თუ ანებივრებენ ასეთი დასწრებით... ორიოდე ჩამოსული ოფიციალური პირი თუ ესწრება ხოლმე წარმოდგენას, ისიც უფრო მისი მიღების დღეს. ამ დღეს კი... ერთი სიტყვით, ყველა ჩამოთვალეთ, დამდგმელ რეჟისორზე კი არაფერი გვითქვამს. თავიდათავი ასეთი თავყრილობისა, პრემიერის ცრემლიან ზეიმად გადაქცევისა, სპექტაკლის ბოლოს ტაშში შერეული ქვითინისა კი სწორედ რომ ის გახლდათ, დამდგმელი რეჟისორი — გურამ მაცხონაშვილი. სულ ბოლოს მას უნდა ბიეღო ყვავილები, აპლოდისმენტები და თავადაც მიეღოცა სპექტაკლის მონაწილეებისათვის. იყო ტაშიც, ყვავილებიც, ამბორიც... არ ჩანდა მხოლოდ რეჟისორი... იყო-მეთქი, წამობრუდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ალარ არის, ალარ იქნება. საქართველოში თითქმის არ დარჩენილა თეატრი, სადაც მას არ ემუშაოს, სადაც არ დადგმულებინოს თავისი ანკარა სულის სხივი. გორის თეატრში სპექტაკლის დასადგმელად მიწვეული კი სამუდამოდ გორის თეატრის მკვიდრად დარჩა — აქ იმუშავა უკანასკნელ სპექტაკლზე, უკანასკნელად აქ მიეფერა ბალღებივით გულჩვილ მსახიობებს, აქ დახუჭა თავისი დიდი, უსაშველოდ კეთილი თვალები... პრემიერით გახარება ალარ დასცალდა. მადლიერმა და დამშუბრებულმა კოლექტივმა გული არ დასწყვიტა მაყურებელს და... რეჟისორიც გამოჩნდა სცენაზე: ზემოდან დაეშვა გადიდებული ფოტო, ცოცხალივით მოეკლინა სცენასა და დარბაზს. ღიმილი უკრთოდა სახეზე... მისი სიყრმის მეგობრების თენგიზ არჩვაძისა და თათია ხაინდრავას, მესხეთიდან ჩამოსულ მსახიობთა გვერდით მისი ვაჟები — შალვა და დათოც იყვნენ... სწორედ დათომ დაასრულა მამის სპექტაკლი...

დიდხანს ბიჭერებოდით სცენაზე ჩამოშვებულ ფოტოსურათს, სიიდანაც გვიყურებდა გურამი თავისი უცოდველი, ლამაზი სულის თვალებით.

მზია ხეთაგური.

სპორტი

ბრემენული ვარიანტით

დიღმი, „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა! გუშინ აქ ასობით ფეხბურთის მოყვარულმა მოიყარა თავი. ბუნებრივია, დინამოელთა კოლექტივი ახლა განსაკუთრებული ყურადღებით არის გარემოსილი. ქომაგებს ყველაფერი აინტერესებთ: როგორი განწყობილებაა გუნდში, რას ფიქრობს უფროსი მწვრთნელი მომავალი მატჩის წინ. გულშემატკივრებთან ერთად დიღომში იმდენი ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი მოვიდა, ოფიციალურ მატჩზე გეგონებოდათ თავი. მატჩი კი გაიმართა, მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი საწვრთნელი შეხვედრა „დინამოს“ ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის მონაწილეობით. ძირითად გუნდში ითამაშეს გაბელიამ, კეტაშვილმა, ჩივაძემ, ჭედიამ, სვანაძემ, რევაზიშვილმა, ცვეიბამ, სულაქველიძემ, ქეცბაიამ, გურულმა და შენგელიამ. დინამოელთა სარეზერვო შემადგენლობაში ძველ ბინადართა გარდა (ჩამდენიმე ახალი ფეხბურთელიც გამოჩნდა. ჭანტურია, მიქაბერიძე (კაკილაშვილი), ჩადუნელი, კოპალეიშვილი, არზიანი, ახვლედიანი (მჭედლიშვილი), ფირცხალავა, ტყებუჩავა (ჯიშკარიანი), კორდალიძე, ფანცულაია, მესხი. მატჩი ორი ოცდაათწუთიანი ტაიმისაგან შედგებოდა. 5:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა პირველმა „დინამომ“.

ეტყობა, დინამოელთა უფროსი მწვრთნელი გერმან ზონინი კმაყოფილი დარჩა თამაშის ხარისხითაც და შედეგითაც:

— „ვერდერთან“ ცხადია, ერთით ნოლზეც თანახმა ვარ... ოპტიმიზმი არც მწვრთნელებს გვაკლია და არც ფეხბურთელებს, თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ უმძიმესი მატჩი მოგველის.

— **თუ გახსოვთ, თქვენმა კოლეგამ ოტო რეჰაგელმა ბრემენში პრესკონფერენციაზე ახსენა ჩვენი ნაადრეონი — „დინამოს“ იქ 75 ათასი ქომაგი ეყოლებოთ..**

— მაყურებლის ფაქტორი მნიშვნელოვანია სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში. არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ „დინამოს“ უამრავი ერთგული გულშემატკივარი ჰყავს. მათი მხარდაჭერის იმედი ძალას გვმატებს.

— **ცხრა დეკემბრამდე ბევრი აღარაფერი რჩება. მატჩამდე რა გეგმები გაქვთ?**

— სამ დეკემბერს გორში ადგილობრივ გუნდს შეეხვედებთ, ხუთში — ბათუმის „დინამოს“. სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია. ამ თვალსაზრისით, ჩვენი მეტოქეები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათ შაბათს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჰანოვერის გუნდთან ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ხუთ დეკემბერს კიდევ ერთი შეხვედრა ექნებათ.

— **თქვენი მზადების გეგმა, თუ არ ვცდები, ბულგარეთში გამგზავრებას და იქაურ გუნდებთან შეხვედრებს ითვალისწინებდა...**

— ასე იყო, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრეთ. საქმე ის არის, რომ ბრემენიდან თბილისში ჩამოსვლას 26 საათი მოვუნდით. გუნდი დაიქანცა, მეორე დღეს ისევ მოსკოვში, იქიდან კი ბულგარეთში გამგზავრება, გფიქრობ, სასიკეთოს არაფერს მოგვიტანდა.

— **შემადგენლობაში რაიმე ცვლილებებს ხომ არ აპირებთ?**

— არა, სამწუხაროდ, რეზერვით არა ვართ განებივრებულნი. ძალაში დარჩება „ბრემენული ვარიანტი“.

ე. ბერიშვილი.

სურათზე: თბილისის დინამოელთა საწვრთნელი მატჩის მომენტი.

ფ. კრიმსკის ფოტო.

მსოფლიო ჩემპიონიც, თასის მფლობელიც

ჯ. მჭედლიშვილი.



დ. გოგეჯიშვილი.

ჩვენება მკითხველებმა უკვე იციან, რომ საბჭოთა ათლეტებმა მილანში (მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში) და ულან-ბატორში (მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში) შთამბეჭდავი წარმატებები მოიპოვეს: ისიც ნიშანდობლივია, რომ მილანშიც და ულან-ბატორშიც სხვებთან ერთად თავი ისახელეს საქართველოს წარმომადგენლებმაც.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ქართველი ფალავნის ჯემალ მჭედლიშვილის გამარჯვება კანონზომიერია. ამის საფუძველს ვვაძლევს ის, რომ წლეულს მან ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა საუცხოოდ და კონტინენტზე უძლიერესის წოდებასაც დაეუფლა. და აი, 82 კილოგრამამდე წონითს კატეგორიებში მოასპარეზე ამ ტიტულოვანმა ათლეტმა მსოფლიო ჩემპიონატზეც აჯობა ყველას და გამარჯვებულის ყვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

რაც შეეხება დავით გობეჯიშვილს, მან უმძიმეს წონაში წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატზე მხოლოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა. უდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ორ წელს მისი შედეგები არცთუ სახარბიელო იყო და ბოლოს და ბოლოს ამ ნიჭიერი სპორტსმენისაგან ყველა მეტს მოელოდა. და აი, გობეჯიშვილმა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ამჯერად ღირსეულად იასპარეზა და მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაში გაიმარჯვა. მანვე პირად ჩათვლაშიც უძლიერესის წოდება დაისაკუთრა.

ორივე ქართველ სპორტსმენს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია და, ცხადია, მისი მკითხველები გულითადად ულოცავენ მნიშვნელოვან წარმატებებს და მომავალშიც ახალ გამარჯვებებს უსურვებენ.

მსოფლიო კერძველობა ჭადრაკში

კვლავ წონასწორობა

მეთვრამეტე პარტიის წინ საინტერესო იყო რომელ დებიუტზე შეაჩერებდნენ ყურადღებას მეტოქეები. კასპაროვის პირველი სვლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ იგი ინგლისური დასაწყისის არჩევას აპირებდა. მართალია, მეთექვსმეტე პარტია, სადაც ეს დებიუტი გათამაშდა, კასპაროვის დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის აზრით, ამ წაგებაში შეხვედრის დასაწყისი არაფერ შუაში იყო. ეტყობა, კარპოვიც ასე ფიქრობდა, რადგან მან ამჯერად უარი თქვა ინგლისურ დაცვაზე და ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთ ვარიანტს მიმართა.

როგორც ამ დებიუტისათვის არის დამახასიათებელი, თეორებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს. კარპოვის ცენტრალური პაიკი სუსტი იყო, ამიტომ ექსჩემპიონს სისტემატურად მის დასაცავად უნდა ეზრუნა. მაგრამ ეს იყო შავების პოზიციის ერთადერთი ნაკლი, რომლის კომპენსირება ფიგურების აქტიური განლაგებით ხდებოდა.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ თამაში გადავიდა ეტლების ენდშპილში კასპაროვის მინიმალური უპირატესობით. შავები ბოლომდე ზუსტად იცავდნენ თავს და პარტია ყაიმით დასრულდა.

როგორც სევილიაში მიმდინარე ფიდეს კონგრესზე გამოცხადდა, გაისაკ კაიმაროვი მსოფლიო ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში, სადაც მეტოქეებს მთელ პარტიაზე ნახევარ-ნახევარი საათი ეძლევათ.

მეთვრამეტე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. d3 d5 3. d4 ج e7 4. ج f3 ج f6 5. ج g5 h6 6. ج h4 0-0 7. e3 b6 8. ج e2 ج b7 9. ج: f6 ج: f6 10. cd ed 11. b4 c5 12. bc bc 13. ج b1 ج c6 14. 0-0 ج d7 15. ج b5 ج c7 16. ج d3 ج fc8 17. ج fc1 ج ab8 18. h3 g6 19. ج: c6 ج: b1 20. ج: b1 ج: c6 21. dc ج: c5 22. ج e2 ج f8 23. h4 ج e5 24. ج: e5 ج: e5 25. ج d1 ج c5 26. h5 ج c2 27. ج: c2 ج: c2 28. ج: d5 ج: e2 29. ج: e5 ج: a2 30. hg fg 31. ج e7 a5 32. ج a7 a4 33. g3 h5 34. ج g2 a3 35. e4 g5 36. ج f3 g4+ 37. ج g2 ج a1 38. ج f4 ج f1 39. ج g5 ج: f2 40. ج g: h5 ج e2 ياي.

ამრიგად, ანგარიში გახდა 9:9. მორიგი, მეცხრამეტე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

ბ. გამრეკელი.

ყურადღება!

5 დეკემბერს 16 საათზე ჭადრაკის სასახლეში გაიმართება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სასახლეხო უნივერსიტეტის მსმენელთა შემაჯამებელი შეკრება. უნივერსიტეტის 1987 წლის კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სახალხო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომები.

რედაქცია.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ცისფერ ეკრანზე

მოსკოვი

2 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — მხატვრული ფილმი „დღისით-მზისით“. 11.05 და 18.00 — ახალი ამბები. 18.15 — დოკუმენტური ფილმი „მარშალი ბაგრამიანი“. 18.45 — „ლაოსი: აღმავალი საფეხურები“. კინონარკვევი. 19.05 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. როგორ იბრძვიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში თავიანთი რიგების იმ პირებისაგან გაწმენდისათვის, რომლებმაც სახელი გაუტეხეს მილიციის მუშაკის წოდებას. პირველი გადაცემა — „ლაცმა“. 20.30 — ტელემაყურებელთა კითხვებს უპასუხებს სსრ კავშირის სახკომგამის თავმჯდომარე მ. თ. ნენაშევი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „მაია პლისეცკაია, ნაცნობი და უცნობი“. 23.40 — დღეს მსოფლიოში. დამთავრების შემდეგ — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — საზოგადოებათმცოდნეობა. X კლასი. 10.05 — გერმანული ენა. 11.05 — დოკუმენტური ფილმი „მშობლიური მიწის ზოლი“. 11.35 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 12.05 — ჰ. ტიჩინას ლირიკა. 12.40 — მხატვრული ტელეფილმი „უსასრულო სიცოცხლე“. II და III სერია. 14.50 და 19.00 — ახალი ამბები. 19.10 — დოკუმენტური ფილმი „ღია გაკვეთილი“. 19.40 — „სამკურნალო მალამო“. როგორ გამოვიყენოთ ვიეტნამური მალამო „ოქროს ვარსკვლავი“. 20.00 — მუსიკალური კიოსკი. 20.30 — „ყველასა და თითოეულისათვის“. „აუქციონი“. სახალხო მოხმარების საქონლისათვის ბრძოლის ახალი ფორმა თბილისში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი“. 21.25 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. ბ. ბარტოკი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „უსასრულო სიცოცხლე“. III სერია. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

2 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 16.20 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.00 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფირმის საიდუმლო“. 17.30 — ახალგაზრდობისათვის. „...და კვლავ საოცარ ქართველებზე“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „იისფერა“. 18.50 — „გარდაქმნის წახნაგები“. „კარგი განწყობილების სათავე“. 19.20 — გარდაქმნის წახნაგები. „ფიქრი მტკვრის პირას“. მეექვსე გადაცემა: „აბანოთუბანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დღეს და ხვალ“. 21.10 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა“ (დიმიტრი უზნაძე). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50—„პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „პრეფერანსი პარასკეობით“.

მეორე პროგრამა. 16.55 — მხატვრული ფილმი „ანა პავლოვა“. II სერია. 18.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სათვალიანი“. 18.55 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ის ხარ, რაც იცი“. 19.25 — განცხადებები. 19.30 — დოკუმენტური ფილმი „საცხოვრებელი ადგილები“. 20.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ხარისხი და ასორტიმენტი“. 20.30 — „ყველასათვის და თითოეული ჩვენგანისათვის“. „აუქციონი“ ცენტრალური ტელევიზიისა და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივი გადაცემა (მ.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07253 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14